745 N 10495

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 10 (15)

3 VI 1990



# ზვიად გამსახურდია

**სიტყვა, წარმოთქმული 1990 წლის 26 მაისს — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს — თბილისში, 26 მაისის სახელობის სტადიონზე**

დღეს შევიკრიბეთ ამ მიწაზე, სადაც დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში იმართებოდა მიტინგები და შეკრებები. დღეს ჩვენთან არიან ის სულები, საქართველოს თავისუფლების ქომაგნი, საქართველოსთვის მრავალი მათგანი შემდგომში წამებულნი, საქართველოს დამოუკიდებლობის სულისჩამდგმელნი. და ამ დღეს გვმართებს დიდი დაფიქრება, დიდი ანალიზი ჩვენი ბრძოლის, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორი კურსის განსაზღვრისათვის.

მეგობრებო! გილოცავთ ყველა ქართველისათვის ამ ღირსსახსოვარ დღეს. და დღეს, დღეს, მეგობრებო, უნდა ითქვას სიმართლე, რამეთუ სიმართლისთვის მოგვავლინა უფალმან ჩვენ, სიმართლისთვის მოავლინა ქართველი ერი, რათა მან სწამოს ჭეშმარიტი, რათა მან სწამოს ღვთის გზის ჭეშმარიტება, რათა მან სწამოს ქრისტესათვის, რათა იგი გაბრწყინდეს მსოფლიოს ხალხთა წინაშე, ვითარცა ქომაგი ჭეშმარიტებისა. მეგობრებო, ნუ იყოფინ! ორპირობა და გულარძნილობა ამ დღეს, ამ წმინდა მიწაზე, სადაც წინაპართა აჩრდილები თავს დაგვტრიალებენ, სადაც სულმნათი მერაბ კოსტავა გადმოგვცქერის ზეციური საქართველოდან, სადაც წმინდა ილია მართალი დაგვცქერის ჩვენ, ჩვენს მიერვე წამებული ილია მართალი. ძმანო და დანო! ქართველი ერი ქრისტეს მცნებით ვიდოდა ისტორიის ეკლიან გზაზე და მე მინდა შეგახსენოთ იგავი იოანეს სახარებისა, რამეთუ ეს იგავი მიესადაგება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, ჩვენს გუშინდელ დღეს, ჩვენს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას იმჟამად წართმეულს, იმჟამად დამარცხებულს და ჩვენ დღეს უნდა გავაცნობიეროთ, თუ რა არჩევანის წინაშე ვდგავართ. ეს იგავი სახარებისა არის შემდეგი: როდესაც მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე გამოიყვანეს ებრაელი ხალხის წინაშე რომაელებმა და მისმა მტანჯველებმა, ისრაელს ჰქონდა წეს-ჩვეულება: სიკვდილით დასჯილი ერთ-ერთი ადამიანი ამ დღეს, ისრაელისათვის წმინდა დღესასწაულის დღეს, უნდა მიეტევებინათ ხალხისათვის. მაშინ რომაელთა ხელისუფლებამ მიმართა ისრაელის ერს: ვინ მოგიტევოთ? და წარუდგინა ქრისტე, ღმერთკაცი და ბარაბა ავაზაკი. მაშინ იხუვლა ისრაელის ერმა: ჯვარს-აცუ, ჯვარს-აცუ ეგე და მოგვიტევე ჩვენ ბარაბა, მოგვიტევე ავაზაკი და ის ავაზაკი გულში ჩაიხუტა ერმა და ჯვარცმად გაუშვა ქვეყნად მოვლენილი მესია-ღმერთკაცი.

ძმანო! უსაშინლესი ტრაგედია დაატყდა ისრაელს ამის შემდეგ, რომელიც გრძელდებოდა ოცი საუკუნის მანძილზე. მათ დაკარგეს დამოუკიდებლობა, დაკარგეს სახელმწიფოებრიობა, დაკარგეს ენა, დაკარგეს ტერიტორია, განიფანტნენ მთელს მსოფლიოში, არნახული ტანჯვით ვიდოდნენ და მხოლოდ ორი ათასი წლის შემდეგ შეუნდო უფალმან ის, რომ მათ აირჩიეს ავაზაკი, ავაზაკის გზა და უარყვეს ქრისტე. და, აი, ქართველი ერი, ღვთის ერი, ახევე ღვთის რჩეული, ვით ისრაელი, ვიდოდა ქრისტეს ეკლიანი გზით, მოვიდა მეოცე საუკუნემდე და მის წინაშე წარდგა არჩევანი— აი, ეროვნული მოძრაობა დიდი ილიასი, დიდი ჰუმანისტებისა, დიდი დემოკრატებისა და, ჰა, მოძრაობა ყაჩაღებისა, ავაზაკებისა და ულმერთოებისა, ბარაბასი. და როდესაც ისტორიამ სამსჯავროზე ჩვენს წინაშე გამოიყვანა დიდი ილია და გამოიყვანა ავაზაკი, ჩვენ ავირჩიეთ ავაზაკი, ჩვენ უარვყავით დიდი ილია და ჩვენ ტყვია ვესროლეთ მას.

და, აი, დადგა ჟამი ჩვენი განთავისუფლებისა. ჩვენ მივიღეთ თავისუფლება, მაგრამ ბარაბას გზით. ბარაბას გზა ავირჩიეთ და ეს თავისუფლებაც უფალმა ისე წაგვართვა, ვით მოგვივლინა. და დაგვატეხა თავს არნახული სახჯელი, რომელიც სამოცდაათი წელია გვანადგურებს.

აი, ამის გამო მივიღეთ, ძმანო, ეს სასჯელი, რამეთუ უარვყავით ქრისტე, ქრისტეს მოვლენილი კაცი, მესიად მოვლენილი კაცი და ავირჩიეთ ბარაბა ავაზაკის, სოციალ-დემოკრატიის და მსგავსთა მისთა გზა.

აი, მიზეზი ჩვენი კატასტროფისა, აი, მიზეზი 26 მაისის დამარცხებისა, აი, მიზეზი იმისა, რომ ვიქმენით ჩვენ, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი მტერთაგან ძლეულნი. მამული ჩვენი მტერთა ფეხთქვეშ გაითელა და ჩვენ დღეს უფსკრულის პირას ვართ. და, აი, მოდის ახალი არჩევანი, წარმოგიდგათ უფალი, ძმანო და დანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ: ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზაგასაყართან. აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდის, ზნეობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და, აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს! და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შერჩვენებულ იყოს უკუნისამდე.

ჩვენ, ძმანო, ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი, ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგა და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შერჩვენება.

გაუმარჯოს ილია მართლის გზას, მერაბ კოსტავას გზას!

კურთხეულ იყოს ილია მართლის გზა!

გაიღვიძე, ქართველო ერო! გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიქველისას, ღვთისას! ამინ!

### აუცილებელი განმარტება

შევნიშნავთ ფრჩხილებში, რომ ერთ-ერთი ყველაზე უსვინდისო ცილისწამება საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართ ამ უკანასკნელი სამი თვის მანძილზე გამოთქმულ ცილისწამებათა შორის ის გახლავთ, რომ, თითქოს, სახალხო ფრონტს იმედი აქვს, საქართველო მხოლოდ პარლამენტური გზით, სხვა საშუალებათა მოუხმობლად გაათავისუფლოს (მე-2 გვ.).

### ტერორისტის ჩანაწერები

მე თუ აღვწერე ის ამბავი, რასაც შევეწირე, შეეწირა დედაჩემის გულისწუხილი, ჩემი ძლივს გამომკრთალი მომავალი, უნდა დავახასიათო, რა გესლმა დაგესლა ჩემი პიროვნება, მით უმეტეს, რომ სტალინის დროს, ჩემი სტუდენტობისას, ათი ცხვირმოუხოცავი ბიჭი ვეებერთელა ტიტულით — კონტრრევოლუციური, ნაციონალისტური, წვრილბურჟუაზიული, სტუდენტური ანტისაბჭოთა ორგანიზაციისათვის — გაგვასამართლეს. (მე-5 გვ.)

### ბოლო მოეღოს მარქსიზმ-ლენინიზმს

1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი კვირის ამბებმა მიმიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ კომუნისტური პარტია არა მარტო წითელ მანდატს და წითელ დროშებს ფლობს, არამედ წითელ არმიას, და ეს ყველაფერი წითელია, ხალხის სისხლია. პარტიას ხელები და გული, გონება და აზრი ხალხის სისხლით აქვს გასვრილი (მე-7 გვ.).

### მერაბ კოსტავა — „შტრიხები პორტრეტისათვის



1977 წლის გაზაფხულზე, როცა პრესაში ზვიადის და მერაბის წინააღმდეგ სამარცხვინო კამპანია გაჩაღდა და ცხადი გახდა, რომ მათ დააპატიმრებდნენ, მერაბი თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩემთან და ირაკლისთან (მე-8 გვ.).

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია დიდ მწუხარებას გამოთქვამს 1 ივნისს თბილისის საბაგირო გზაზე მომხდარი უბედური შემთხვევის გამო.

რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ და სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს და მთელ ქართველ ხალხს.

# ეროვნული ყრილობა

**1990 წლის 23-25 მაისს ჩაიმართა საქართველოს ეროვნული ყრილობა. მონაწილეობდნენ პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების, სახწავლო დაწესებულებების თუ წარმოება-დაწესებულებების დელეგატები. ყრილობა აკურთხა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. ძირითადი საკითხი იყო ეროვნული კონგრესის არჩევნების აუცილებლობა. ყრილობამ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია და კანონპროექტი.**

## სიტყვა — ყველას

# ...თქმა სჯობს

საქართველოში შექმნილი მწვავე პოლიტიკური ვითარება აღელვებს ყოველ ქართველს, მათ შორის ჩვენც.

შემაშფოთებელი და გულსატკენია ეროვნული მოძრაობის შუაზე გახლეჩა, გუშინდელი თანამებრძოლების ბარიკადის სხვადასხვა მხარეს დადგომა, მაშინ როცა მთელი საქართველო მათ შეჰყურებს. მაგრამ გაცილებით სავალალო და დამღუპველია თავისუფალ აზრზე დიქტატის მცდელობის გახშირებული ფაქტები.

ზემოთქმულის თვალსაჩინო მაგალითია სპორტის სასახლეში მიმდინარე ეროვნული ყრილობა, დაკომპლექტებული ისეთი დელეგატებით, რომელნიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოხატავენ მთელი ქართველი ხალხის აზრს (როგორც ვიცით, ორგანიზაციათა უმრავლესობაში არ ჩატარებულა დელეგატთა არჩევნები, ყოველგვარი წესის დაცვის გარეშე გაიცა მანდატები, რამაც გამოიწვია ეროვნულ ყრილობაზე ბევრი შემთხვევითი ადამიანის მოხვედრა). ამდენად, ამ კრებულს ვერ მივიჩნევთ საყოველთაო ეროვნულ ყრილობად.

24 მაისს, ყრილობის მეორე დღეს პრეზიდიუმს მივმართეთ წერილით, სადაც გამოვხატეთ ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) პოზიცია და ვთხოვეთ ეროვნულ ყრილობას არ მიეღო გადაწყვეტილება ეროვნული კონგრესის არჩევნების დანიშვნის შესახებ იმ მოტივით, რომ ჯერ არ იყო ჩატარებული სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ყველა კონცეფციის საერთო სახალხო განხილვა და ქართველ ერს არ ჰქონდა და არც ახლა აქვს გამოხატული თავისი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი. და აი, სწორედ აქ მოხდა ის, რასაც ნაკლებად ველოდით და რამაც ძალიან დაგვწყვიტა გული. ყრილობის თავმჯდომარემ გ. ჭანტურიამ ჩვენს მოსაზრებას პროვოკაციული უწოდა და სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეთა მეთოდით გამოგვირთო მიკროფონი, რამაც გვაიძულა დაგვეტოვებინა დარბაზი.

ჩვენს „დაჩაგვრას", ალბათ, არც მივაქცევდით ყურადღებას, რომ არა ამავე ყრილობაზე საქართველოს ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, ნოდარ ნათაძის, სტვენით შეურაცხყოფის ფაქტი „ერის წარგზავნილი" დელეგატების მიერ ისევ და ისევ მათგან განსხვავებული მოსაზრების გამო. მსახიობ-დელეგატმა გ. ხარაბაძემ მას ცინიკურად „სახალხო ფრონტის დირექტორიც" კი უწოდა, როგორც შევიტყვეთ, შეურაცხმყოფელი სტვენა-ყიჟინა სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ შემდეგაც გაგრძელებულა.

ეროვნული ფორუმის წარმომადგენლებს არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ ეროვნულ მოძრაობას ბელადი არ სჭირდება. ჩვენც ამ აზრისა ვართ, თუმცა მიგვაჩნია, რომ ღია კარის მტვრევა საჭირო არ არის. საქართველოში ბელადობას არავინ იჩემებს, თვით ზვიად გამსახურდიაც, რომელმაც მერაბ კოსტავასთან ერთად 50-იან წლებში საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

და თუ ვინმე ფიქრობს ბელადობაზე, დე მან ჩათვალოს თავი ამ წერილის ადრესატად.

დარწმუნებული ვართ, კარგად გახსოვთ სულმნათ მერაბ კოსტავას სიტყვები: „უნდა გიყვარდეს ეროვნული მოძრაობა და არა საკუთარი თავი ამ მოძრაობაში", მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთებს მხოლოდ ახსოვთ... გვინდა ყველამ იცოდეს, რომ არავითარი კერპი ჩვენ არა გვყავს და არც გვეყოლება. ჩვენი ერთადერთი ხატი სამშობლოა.

ვერანაირი დიქტატი საბოლოოდ საღ აზრს ვერ დაამარცხებს. ჩვენ კვლავ ჩვენი პოზიციის ერთგულნი ვართ!

გაუმარჯოს თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს!

P.S. ეს წერილი უკვე დასრულებული გვქონდა, როდესაც ტელევიზიით გვაუწყეს: ყველა, ვინც ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებებს არ იზიარებს, ეროვნული მოძრაობის გარეთ იგულისხმებაო.

აქ კომენტარი ზედმეტი არაა, მაგრამ ჯერ-ჯერობით თავს შევიკავებთ.

**თსუ სტუდენტები:**
**ნუგზარ წიკლაური,**
**გია მამალაძე...**

**წერილს ხელს აწერს უნივერსიტეტის 163 თანამშრომელი და სტუდენტი.**

# აუცილებელი განმარტება

**„მოლოდიოჟ** გრუზიის" ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებულია შემდეგი განცხადება, რომლის ჩემეულ თარგმანსაც გთავაზობთ:

„ა. წ. 27 აპრილს შედგა საქართველოს სახალხო ფრონტის და რიგი სხვა ორგანიზაციების ერთობლივი მიტინგი, სადაც მსჯელობა შეეხო უმოკლეს ვადაში საქ. სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევას, რათა განხილულ იქნას საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი.

შეურიგებელ ოპოზიციას მიაჩნია, რომ სახალხო ფრონტის ამ განცხადებას, მით უმეტეს, სესიის მოწვევასა და „საქართველოს დამოუკიდებლობის" დეკლარირებას საერთო არა აქვს რა ეროვნულ მოძრაობასთან, საქართველოს დამოუკიდებლობის რეალურ აღდგენასთან. სახალხო ფრონტის განცხადება დემაგოგიაა და მას მიზნად აქვს ქართველი ხალხის შეცდომაში შეყვანა.

ქართველი ხალხის სრული ინფორმირებისათვის, ჩვენი პოზიციების მკაფიო განსაზღვრისათვის აუცილებლად მიგვაჩნია, უახლოეს დღეებში ჩატარდეს ტელედებატი ეროვნულ ფორუმში გაერთიანებულ შეურიგებელ ოპოზიციასა და სახალხო ფრონტის წარმომადგენლებს შორის.

თუ სახალხო ფრონტი უარს იტყვის ტელედებატზე, მთელი ხალხისათვის ნათელი გახდეს ის, რაც კარგადაა ცნობილი ეროვნული ფორუმისათვის: სახალხო ფრონტსა და მარიონეტულ მთავრობას შორის არსებობს შეთანხმება, რომლის მსხვერპლიც უნდა გახდეს ეროვნული მოძრაობა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დიადი საქმე.

ეროვნული ფორუმის წევრები: გ. ჭანტურია, თ. შარმანაშვილი, ვ. ტაბატაძე, სულ 14 ხელმოწერა".

ამ განცხადებასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს მოვახსენო შემდეგი:

ის, თუ მოქმედების რა გრაფიკს და თავისი პოზიციის რა ფორმულირებებს აირჩევს სახალხო ფრონტი საქართველოს დამოუკიდებლობის საპარლამენტო აღიარების მისაღწევად, მხოლოდ თვითონ სახალხო ფრონტის საქმე გახლავთ და ამ ტაქტიკის თაობაზე ფრონტი არც წინასწარ ინფორმაციას აძლევს მოწინააღმდეგეს, არც „შეურიგებელ ოპოზიციასთან" **შეთანხმებას საჭიროებს;** ის, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის" (ბრჭყალები ავტორებისაა) „საერთო არა აქვს რა ეროვნულ მოძრაობასთან", იმგვარივე აბსურდი გახლავთ, როგორც პრეტენზია, რომ „საქართველოს ეროვნული მოძრაობის" სახელი მხოლოდ ე. წ. „ეროვნულ ფორუმში" დღეს ან ორი თვის წინ მყოფი პარტიებისა და პოლიტიკური ჯგუფების კუთვნილებად ჩაითვალოს; ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის რეალური აღდგენა იგივე არაა, რაც დამოუკიდებლობის დეკლარირება, მართალი გახლავთ, მაგრამ ის, რომ ამ ორ მოვლენას ერთმანეთში „საერთო არა აქვს რა", როგორც ამას განმცხადებელნი ფიქრობენ, მაინც კარგა ცოცხალი ტყუილი გახლავთ: დამოუკიდებლობის რეალურ მოპოვებას სხვა ზომებთან ერთად მისი სიტყვიერი დეკლარირებაც სჭირდება. ამასთან, ეს დეკლარირება უნდა მოხდეს იურიდიულად სწორი ფორმით, რომელსაც მოწინააღმდეგე ადვილად ვერ შეეკამათება.

შევნიშნავთ ფრჩხილებში, რომ ერთ-ერთი ყველაზე უსვინდისო ცილისწამება საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართ ამ უკანასკნელი სამი თვის მანძილზე გამოთქმულ ცილისწამებათა შორის ის გახლავთ, რომ თითქოს სახალხო ფრონტს იმედი აქვს, საქართველო მხოლოდ პარლამენტური გზით, სხვა საშუალებათა მოუხმობლად გაათავისუფლოს. სსფ-ს ნამდვილი პოზიცია ის გახლავთ, რომ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისთვის უნდა გამოვიყენოთ ყველა გზა, მათ შორის პარლამენტური გზაც. ამიტომაც (მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ამიტომ) მიგვაჩნია, რომ ერთგული ოფიციალური პარლამენტის (უზენაესი საბჭოს) ყოლა ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, და, შესაბამისად არჩევნების ბოიკოტის კამპანია ა. წ. 9 მარტიდან 25 მარტამდე, რომელშიც განცხადების ხელმომწერი პარტიები აქტიურ როლს თამაშობდნენ, ეროვნული საქმისათვის ზურგში დანის ჩაცემა იყო.

რაში მდგომარეობს „შეთანხმება" სახალხო ფრონტსა და „მარიონეტულ მთავრობას" შორის და როგორ უნდა გახდეს ეროვნული მოძრაობა ამ შეთანხმების „მსხვერპლი", ამას განმცხადებელნი, სამწუხაროდ, არ განმარტავენ. არ განმარტავენ, ცხადია, არც იმას, რას მოელის პირველი მეორისაგან (ან რას ჰპირდება იგი მას) და პირუკუ. თუ განმცხადებლებს ჰგონიათ, რომ ოფიციალურ ხელისუფლებას სწყინს არჩევნების ბოიკოტი, ისინი, ცხადია, ცდებიან. ისევე, როგორც ცდებიან იმ შემთხვევაში, თუ მიაჩნიათ, რომ საქართველოს დღევანდელი პარლამენტის მიერ 9 მარტს მიღებული დადგენილებები საქართველოს ანექსირებულ ქვეყნად აღიარებისა და აწ არსებული სამოკავშირეო ხელშეკრულებების ბათილობის შესახებ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს და არა ჩვენსაზე. ვერ დავიქადნი, რომ განმცხადებელთა ზემომოყვანილი მსჯელობის ლოგიკა ჩემთვის სავსებით ნათელი იყო. მაგრამ ამის თქმა კი ცალსახად შემიძლია: ზრდადამთავრებულ პიროვნებას უნდა შეეძლოს სიტყვების „ერთ-ერთისა" და „ერთადერთის" გარჩევა, კერძოდ, მათი გარჩევა იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე ეხება არჩევნებში საპარლამენტო ბრძოლას, როგორც საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას. ასე, რომ გამოთქმულ ან გამოუთქმელ „შეთანხმებაზე" ლაპარაკი თუა, იგი უნდა შეეხებოდეს არა სსფ-სა და „მარიონეტული" მთავრობის შეთანხმებას, არამედ ბოიკოტის ორგანიზატორთა შეთანხმებას, სამწუხაროდ, ფრიად არამარიონეტულ ძალებთან, რომლებიც, ლოგიკის თანახმად, ჩვენი ერთადერთი საერთო მოწინააღმდეგენი არიან დღეს.

„დემაგოგია" და „ხალხის შეცდომაში შეყვანა (განმცხადებელთა გამოთქმები გახლავთ) ის კი არაა, რომ ხალხს ოფიციალურ არჩევნებში გამარჯვებისკენ მოვუწოდოთ, არამედ ის, რომ უაღრესად პოპულარული ლოზუნგით — „არ გვინდა არაფერი საბჭოური!" — ხალხს ხელიდან გავაგდებინოთ ისეთი ძლიერი ეროვნული იარაღი, როგორიცაა ოფიციალური (თუმცა, უაღრესად ძალაშეზღუდული) პარლამენტი, რომელსაც შეუძლია საქართველოს კვლავ გააყოფინოს თავი ახალ „ყულფში" ახალი „სამოკავშირეო ხელშეკრულების" სახით ან პირიქით, უარი თქვას ასეთ ყულფზე ანუ რუსეთს საქართველოს შესაძლო ანექსია არ მოახდენინოს. აქ ალბათ ისიც უნდა ვთქვათ იმაზე, რომ საყოველთაო არჩევნები (საბჭოთა კავშირში დღემდე ფალსიფიცირებული) სრულებითაც არ არის „საბჭოური" მოვლენა. ეს მსოფლიო ცივილიზაციის მიერ გამომუშავებული მექანიზმი გახლავთ, რომელიც საბჭოთა კავშირს თავს მოხვეული აქვს იმ გარემოების წყალობით, რომ საბჭოთა კავშირი, ჯერ კიდევ საბჭოთა კონსტიტუციათა „გენიალური შემოქმედის" — სტალინის — დროს იძულებული იყო, დემოკრატიული, ანუ თანამედროვე სახელმწიფოს გარეგნული იერი მიეღო მსოფლიოს წინაშე. მაშ, შევწიროთ ღმერთს მადლი, რომ ეს დემოკრატიული და ქმედითი მექანიზმი ჩვენს მოწინააღმდეგეებს დღეს თავს მოხვეული აქვთ, და, რაკი ამის საშუალება გვაქვს დღეს, ეს მექანიზმი ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ, როგორც ბრძოლის ერთ-ერთი (ვიმეორებ: ერთ-ერთი) იარაღი. გამოვიყენოთ ეს დღეს ჩვენთვის მისაწვდომი ორგანო, რომელიც რეალურად სხვა არაფერია, თუ არა ოკუპირებული ტერიტორიის თვითმმართველობის ორგანო, მაგრამ მაინც ჩვენი პირობების კვალობაზე ძალიან მნიშვნელოვანი ორგანოა, ჩვენი საქმის სასარგებლოდ, სხვა თუ არაფერი, იმისგან თავდასაცავად მაინც, რომ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში არ აღმოვჩნდეთ რუსეთის იმპერიასთან, ან იმის იურიდიული მექანიზმიც აღარ გვექნას ხელთ, რომ მოსკოვიდან ინსპირირებული სეპარატიზმისა და ავტონომიზმის მორიგი შემოტევები მოვიგერიოთ.

„შეურიგებელი ოპოზიცია", როგორც ჩანს, ძალიან ადვილად ურიგდება ამ მეტად სახიფათო პერსპექტივას. მაგრამ საქართველოს არა აქვს უფლება, ამ პერსპექტივას შეურიგდეს.

განმცხადებელნი, თუ გამოქვეყნებული გვარების მიხედვით ვიმსჯელებთ, ახალგაზრდები არიან (ღმერთმა უშველოთ ყველა კარგ საქმეში!). შესაძლოა, მათ ჯერ ვერ მოასწრეს ამ უკუღმართ წუთისოფელში იმ ინფორმაციის მოვროვება, რომელიც ერისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების პასუხისმგებლობით მიღებას სჭირდება. მაგრამ იმდენად ასაკოვანნი კი არიან, მე მგონია, რომ თვით პასუხისმგებლობის გრძნობა მოეთხოვებოდეთ — გრძნობა, რომელიც ადამიანს, თუკი სულაც უვითარდება, საკმაოდ ადრეულ ასაკში უვითარდება ხოლმე.

რაც შეეხება ტელედებატს, მკითხველს მოვახსენებ: დაახლოებით ორი თვის წინ შესაძლებლობა მომეცა საქართველოს ტელევიზიის თანამშრომელთან ერთად მესაუბრა ასეთ პროექტზე: მოიწვევიან (წინდაწინ) დღევანდელ პოლიტიკურ პროცესებში ყველაზე აქტიურად მონაწილე პირები (ე. წ. ლიდერები და სხვანი). მოწვევა ცხადდება ტელევიზიით და მაყურებელი ხედავს მათთვის განკუთვნილ სკამებს, სკამის თავზე დიდი ასოებით შესრულებული წარწერებითურთ, რომლებიც შესაბამისი ლიდერის გვარს გვაუწყებენ. ვინც დათქმულ დღეს არ მოვა დებატზე ან წარმომადგენელს არ გამოგზავნის, იმისი ცარიელი სკამი წარწერითურთ დებატის დღეს ცარიელი იდგება ტელეეკრანზე ტელემაყურებლის თვალწინ. ეს იმისთვის, რომ როგორც იტყვიან, შავი და თეთრი გამოჩნდეს, აზრთა და „აზრთა" ჭიდილში ჭეშმარიტება იშვას. არ ვიცი, ამ განზრახვის ამბავმა ტელერადიოკომიტეტიდან გარეთ გამოაღწია თუ არა. ორსავე შემთხვევაში მოხარული გახლავართ, რომ მსგავს წინადადებას სხვათა მიერ წამოყენებულსაც ვხედავ.

**ნოდარ ნათაძე**

# საქართველოს რესპუბლიკის სამხარეო თვითმმართველობის (სამხარეო ფედერალიზმის) ზოგადი პრინციპები

**გაზეთ** „საქართველოს რესპუბლიკის" 1990 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ ჩემს სტატიაში — „საქართველოს აღორძინება-ისტორიული მხარეთა აღორძინებაა" — მოცემულია საქართველოს სამხარეო თვითმმართველობის (სამხარეო ფედერალიზმის) აუცილებლობის ეთნოფსიქოლოგიური დასაბუთება. წინამდებარე წერილში შევეცდები ზოგადი თეზისების სახით წარმოვაჩინო, თუ რა იგულისხმება სამხარეო ფედერალიზმში. წინამძღვრად ილიას სიტყვებს შევახსენებთ: „ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ იწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა. წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა". „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა".

**1. ინტეგრაციული ხაწყისი — რესპუბლიკის განსაკუთრებული კომპეტენციათა სფერო**

ა) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია, აგებული სამხარეო ფედერალიზმის პრინციპით, წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის სუბიექტთა ტერიტორიების ინტეგრატს. საქართველოს რესპუბლიკის სუბიექტებს არა აქვს სეცესიის (გამოყოფის) უფლება.

ბ) საქართველოს რესპუბლიკის სუბიექტებს (მხარეებს) არა აქვთ დამფუძნებელი ძალაუფლება, ანუ არა აქვთ უფლება საკუთარი კონსტიტუციის მიღებისა.

გ) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს ერთიანი მოქალაქეობის სტატუსი.

დ) საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს ბიკამერალური (ორპალატიანი) სათათბირო. ზედა პალატა — დარბაზი — ირჩევა აბსოლუტური უმრავლესობის მრავალსაფეხურეობრივი მაჟორიტალური სისტემით. თვითოეული მხარიდან ზედა პალატაში ორი წარმომადგენელია, ქვედა პალატა — საკრებულო — ირჩევა საქართველოს რესპუბლიკის საარჩევნო ტერიტორიული ოლქებიდან (50000 ამომრჩეველზე ერთი წარმომადგენელი).

ე) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას იცავს ეროვნული არმია.

ვ) რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო.

**2. ერთობლივ კომპეტენციათა სფერო**

ა) საქართველოს რესპუბლიკისა და რესპუბლიკის სუბიექტთა იურიდიულ და ფაქტობრივ კომპეტენციათა განცალკევებაში იგულისხმება საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — ეროვნული სათათბიროს და რესპუბლიკის სუბიექტთა საკანონმდებლო ორგანოების — სამხარეო სათათბიროების საგნობრივი კომპეტენციის მოცულობის საერთო პრინციპების განსაზღვრა, რაც მდგომარეობს რესპუბლიკის განსაკუთრებულ კომპეტენციათა სფეროსა და რესპუბლიკის სუბიექტების კომპეტენციათა სფეროს კონსტიტუციურ სისტემაციაში.

ბ) საქართველოს რესპუბლიკის სუბიექტებს მათთვის დადგენილ კომპეტენციის ფარგლებში ეძლევათ საკანონმდებლო თვითმმართველობის, ანუ საკანონმდებლო აქტების მიღების უფლება. სამხარეო საკანონმდებლო აქტები მოქმედებენ საქართვ-

**(დასასრული მ...)**

ისტორიული სინამდვილე

# ლენინი და დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა

**ათწლეულების** მანძილზე ბოლშევიკური პროპაგანდა, მისთვის ჩვეული შავის თეთრად აღიარების პრინციპით, საქართველოს რესპუბლიკის დაპყრობასა და საქართველოს კანონიერი სახელმწიფოებრივი წყობილების ბოლშევიკური მოდელით შეცვლას საქართველოს „გასაბჭოებად“ ნათლავდა.

ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე და მრავალი მისთანა ვაგლახქართველი ლამის უდიდეს ეროვნულ გმირებად შერაცხეს, რომ არაფერი ვთქვათ სტალინზე.

დღეს მითი „გასაბჭოებაზე“ ირონიას და ზიზღს იწვევს. ბოლშევიკური რუსული ხიშტი გაშიშვლდა და მისგან დაჩეხილნი გვიანღა მივხვდით, რომ ანექსირებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ.

თვით საქართველოს სსრ უზენაეს საბჭომაც კი მიიღო დადგენილება იმის თაობაზე, რომ რუსეთმა დაარღვია საქართველოს რესპუბლიკასთან დადებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და მოახდინა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის ხელყოფა. ეს ინტერვენცია და ანექსია საერთაშორისო სამართლის უხეში შეურაცხყოფაა, მაგრამ ერთპარტიულ დიქტატორულ რეჟიმს არად ენაღვლება სამართალი. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება, ვიდრე ძალაუფლების მიმტაცებელი პარტია ლაპარაკობს მთელი ხალხის სახელით.

რა როლს თამაშობდა რუსეთის ერთმმართველი და ბოლშევიზმის ფუძემდებელი ლენინი საქართველოს დაპყრობის საქმეში, როგორ ამზადებდა სიტუაციას საქართველოს რესპუბლიკის ხელყოფისათვის? მავანი და მავანი ისტორიკოსნი დღესაც აცხადებს, რომ საქართველოს დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ იყო არასამართლებრივი აქცია, რომელსაც მხარს არ უჭერდა ლენინი და ეს იყო ლენინური პოლიტიკის უხეში დარღვევა.

მივმართოთ ისტორიას და გავერკვეთ ჭეშმარიტებაში.

1917 წლის 25 ოქტომბერს პეტროგრადში ბოლშევიკური პარტიის ლიდერთა თაოსნობით ტერორისტული შეთქმულების შედეგად იმჟამინდელი კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. მთავრობის კანონიერი კაბინეტი ბოლშევიკებმა დააპატიმრეს. ლენინს გზა გაეხსნა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ. ოქტომბრის გადატრიალებამ ქაოსი შეიტანა ისედაც არეულ რუსეთის იმპერიაში. მრავალმა პარტიამ ბოლშევიკების ტერორისტული შეთქმულება და ბოლშევიკების მოხვედრა ხელისუფლების სათავეში უკანონოდ სცნო და ომი გამოუცხადა მათ. იმპერიის სხვადასხვა რეგიონებში გაჩაღდა შეტაკებები ადგილობრივი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, მოიშალა სახელმწიფოებრივი მართვა.

ამით ისარგებლა ამიერკავკასიამ და 11 ნოემბერს თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, დაფუძნებული მრავალპარტიულობაზე.

ამიერკავკასიის კომისარიატმა არ სცნო ოქტომბრის გადატრიალების პირმშო — სახალხო კომისართა საბჭოს — ხელისუფლება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, ჩათვალა იგი უკანონოდ და დამოუკიდებელი სამხარეო ხელისუფლება გამოაცხადა.

1918 წლის თებერვალში მოწვეულმა ამიერკავკასიის სეიმმა იურიდიულად გააფორმა ამიერკავკასიის ჩამოცილება საბჭოთა რუსეთისაგან — გამოცხადდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა.

შექმნიდან 35 დღეში დაიშალა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა ცალ-ცალკე სახელმწიფოებად. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა კრებამ საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა.

საქართველო გახდა მრავალპარტიული პარლამენტური რესპუბლიკა, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში უმეტესი ადგილი (130-დან 109) სოციალ-დემოკრატებს ეკავათ.

საქართველოს, და საერთოდ ამიერკავკასიის გამოყოფამ რუსეთის იმპერიიდან მოსვენება დაუკარგა ლენინს და მთელ ბოლშევიკურ ელიტას. საქართველოს ხელახლა დასაპყრობად და საქართველოს ეროვნული სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად მათ გამოძებნეს თანამზრახველნი — ქართველი ერის უღირსი შვილები — ქართველი ბოლშევიკები.

ქართველი ბოლშევიკები წინ აღუდგნენ საქართველოს გამოსვლას რუსეთის იმპერიიდან და მოითხოვდნენ ოქტომბრის გადატრიალების ანალოგიურ რევოლუციას საქართველოში, რათა მათ აეღოთ ხელში ძალაუფლება, მსგავსად რუსეთის ბოლშევიკებისა, ქართველი ბოლშევიკები ავრცელებდნენ ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ მოწოდებებს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და მოუწოდებდნენ ხალხს დაემხოთ მთავრობა.

ქართველი ბოლშევიკები ამ პერიოდიდან უკვე ორგანიზებულად იწყებენ ბრძოლას ე. წ. „რევოლუციის მეორე ეტაპისათვის“, რაც მათს მიერ ხელისუფლების აღებაში გამოიხატება.

საქართველოს კანონიერმა მთავრობამ ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული გამოხდომების გამო არ მიუშვა ბოლშევიკები სახელმწიფო სათავეში. დემოკრატიული არჩევნების დროს ბოლშევიკებმა პარლამენტში ვერ მიიღეს ვერცერთი ადგილი. ამით კიდევ ერთხელ გამოიხატა ქართველი ერის სიძულვილი ბოლშევიკური პარტიის მიმართ.

ლენინი ძლიერ გააღიზიანა რუსეთის იმპერიიდან არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ ფინეთისა და ლატვიის დასხლტომამ და ეს „საქმის უკან შებრუნებად“ შერაცხა — „ასე იყო ევროპის ყველა წინანდელ რევოლუციაში, როდესაც კულაკები, მუშების სისუსტის გამო, ახერხებდნენ საქმის უკან შებრუნებას — რესპუბლიკიდან უკან მონარქიისაკენ, მშრომელთა ხელისუფლებიდან ისევ ექსპლუატატორების, მდიდრების, მუქთახორების ყოვლისშემძლეობისაკენ. ასე მოხდა ჩვენს თვალწინ ლატვიაში, ფინეთში, უკრაინაში, საქართველოში“. (ვ. ი. ლენინი, თხზ.. ტ. 28. გვ. 48).

ლენინი განარისხა საქართველოში გერმანელთა ჯარის შემოყვანამ, რაც საქართველოს მთავრობის მიერ თავდაცვის მიზნით იყო ნაკარნახევი. ლენინმაც გახსნა სიცრუის ქისა: „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა, ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“. (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 28. გვ. 7-8).

1920 წლის დასაწყისში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა ბოლშევიკური საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ. წითელმა არმიამ შემუსრა მოწინააღმდეგენი და რუსეთის ძლიერებაც გაიზარდა. მარტში წითელი არმია შეიჭრა კავკასიაში და დაიკავა იგი.

აპრილში წითელმა არმიამ მოახდინა დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ოკუპაცია. საქართველოში ბოლშევიკებმა დიდი ენერგიით გააჩაღეს ძირგამომთხრელი საქმიანობა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ყოველი მათი ნაბიჯი კრემლიდან მოსული დირექტივით განისაზღვრებოდა. საქართველოში გაღრმავდა შინაგანი სახელმწიფოებრივი კრიზისი. მენშევიკურმა მთავრობამ, თავისი სოციალ-დემოკრატიული და მარქსისტული ბუნებიდან გამომდინარე, ვერ გაატარა მოქნილი რეფორმა ქვეყნის შიგნით, ვერ შეძლო ქვეყნის ძლიერების უზრუნველყოფა.

გაფაციცებული „მუშაობა“ მიმდინარეობდა კრემლში საქართველოს საკითხთან დაკავშირებით. შეიკრა ავისმზრახველთა წრე ლენინისა და სერგო ორჯონიკიძის თაოსნობით. საქართველოში ბოლშევიკები აჯანყებისათვის ემზადებოდნენ, რათა რუსეთის ჯარის მომავალი შემოჭრა ამ აჯანყებისათვის დახმარების გაწევად მოენათლათ. ტრაგედიის სცენარი კრემლში იწერებოდა...

საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, გამოენახა საერთო ენა საშიშ მეზობელთან. ორივე მხარემ გადაწყვიტა, დაეწყო საზავო მოლაპარაკება. მოსკოვში საქართველოს მთავრობამ მოსალაპარაკებლად გაგზავნა გრიშა (გრიგოლ) ურატაძე.

ლენინი, ერთი მხრივ, აწარმოებდა საზავო მოლაპარაკებას საქართველოს მთავრობასთან, ხოლო მეორე მხრივ, ძირს უთხრიდა მას. 1920 წლის 5 მაისს ლენინმა დეპეშით აცნობა ორჯონიკიძეს: „თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ნათელია, რომ ზავი საქართველოსთან გამორიცხული არ არის. დაუყოვნებლივ გვაცნობეთ ყოველგვარი უზუსტესი ცნობები აჯანყებულთა შესახებ“. („ლენინსკი სბორნიკ“ ტ. 34. გვ. 291).

ამ თხოვნას ორჯონიკიძე და კიროვი ასე პასუხობენ: „თქვენი ბრძანება ზუსტად იქნება შესრულებული... აჯანყებული რაიონებია: სამხრეთ ოსეთი, დუშეთის მაზრა, ლაგოდეხი, აფხაზეთი და თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნია“. („ლენინსკი სბორნიკ“. ტ. 34, გვ. 291).

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის „განსაკუთრებით საიდუმლო დამატების“ ძალით საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო, არ გაეწია წინააღმდეგობა ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და პრესის ლეგალური ფუნქციონირებისათვის და არ შემოეყვანა ანტანტის ჯარები თავის ტერიტორიაზე. საქართველოს არ უნდა მიეღო მონაწილეობა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ აქციაში.

ლენინმა რუსეთის წარმომადგენლად საქართველოში გამოაგზავნა ქართველი ერის უბოროტესი მტერი კიროვი.

1920 წლის 3 ივნისს დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „კომუნისტმა“. გაათავისუფლეს ბოლშევიკი პატიმრები. ეს შეცდომა საქართველოს მთავრობას ძალზე ძვირი დაუჯდა...

20 ივნისს კიროვი ჩამოვიდა თბილისში. საკონსულოში კიროვს მისასალმებელი სიტყვით შეეგება ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე. გული გულს იცნობსო, ნათქვამია, და კიროვმაც ასე დაამთავრა თავისი საპასუხო მისასალმებელი სიტყვა ბოლშევიკების მიმართ: „რუსეთის მუშათა კლასი და მისი მთავრობა არ ივიწყებს სხვა ქვეყნების ჩაგრულ ხალხებს და არ იქნება მათ მიერ დავიწყებული არც საქართველოს მუშათა კლასი“. შემდეგ კი კიროვმა შესძახა: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს“.

საქართველოს რესპუბლიკის საგონებელში ჩავარდნილი მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა ჰქონოდა კონტაქტი მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან, რათა მათი დახმარებით ეხსნა საქართველო ბოლშევიკური რუსეთის აგრესიისაგან. საქართველოში ჩამოვიდნენ II ინტერნაციონალის ბელადები კაუცკი, რონოდელი, ვანდერველდე და სხვანი. საქართველო მოითხოვდა მიეღოთ იგი ერთა ლიგის წევრად.

თავდაცვის მიზნით საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ბათუმი ღია ქალაქად გამოეცხადებინა, და იქ ინგლისელები შესულიყვნენ.

ამან განარისხა ლენინი. იგი ყოველმხრივ ცდილობდა ამ აქციის ჩაშლას. მას აშინებდა საქართველოს დემოკრატია და დამოუკიდებლობა, აშინებდა საქართველოს კავშირი ანტანტასთან.

კიროვის საშუალებით ლენინი უგზავნიდა საქართველოს მთავრობას მკაცრ საპროტესტო ნოტებს. ემუქრებოდა, რომ იგი ვერ შეურიგდებოდა ბათუმის გადაცემას ინგლისელებისათვის და თუ ეს მოხდებოდა, მაშინ მძიმე შედეგებიც მოჰყვებოდა.

საქართველოს მთავრობა დათანხმდა ლენინს ამ გაფრთხილებაზე. ეს იყო ძალის პოზიციიდან კიდევ ერთი ჩარევა საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. 1920 წლის 28 აგვისტოს კიროვი ლენინს უგზავნის წერილს. მომყავს ნაწყვეტი: „...საქართველოს მთავრობა უწინდებურად საგონებელშია ჩავარდნილი, არ იცის, სრულიად გარკვეულად საით გაქანდეს — ჩვენსკენ თუ ანტანტისაკენ. ამასობაში კი საქართველოს სამეურნეო ცხოვრება უფრო და უფრო მეტად და გარკვეულად ირღვევა. და უკვე სრულებითაც შორს არ არის ის მომენტი, როდესაც ნოე ჟორდანიას საქართველოს ეგზარხოსთან ერთად მოუხდებოდა გალობა „ბაბილონის მდინარეებზე“. (გაზეთი „კომუნისტი“, 1940 წ. 1 დეკემბერი).

1920 წლის ნოემბერში სომხეთში შეიჭრა წითელი არმია და 29 ნოემბერს გამოცხადდა სომხეთში „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება“.

1920 წლის 30 ნოემბერს ბოლშევიკურ გაზეთ „პრავდაში“ ქვეყნდება ამავე გაზეთის კორესპონდენტის საუბარი სტალინთან სათაურით „მდგომარეობა კავკასიაში“.

მოვუსმინოთ სტალინს: „ანტანტის ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის. ტყუილად კი არ მოხდა, რომ მომაკვდავი II ინტერნაციონალის გახრწნილმა ბელადმა, ბ-ნმა კაუცკიმ, რევოლუციის ტალღის მიერ ევროპიდან გატყორცნილმა, თავშესაფარი ჰპოვა დამყაყებულ ანტანტის ბადეში გახვეულ საქართველოში, გაკოტრებულ სოციალ-მეღუქნეებთან. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა“.

სტალინისთვის, ამ გადაგვარებული ქართველისთვის, საქართველო თურმე დამყაყებული ყოფილა. სტალინი რომ საქართველოს დაუძინებელი მტერი, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი და რუსიფიკატორი იყო, ამაში ეჭვი არც ერთ ჭკუაზე მყოფ ადამიანს არ ეპარება (გარდა ახლახან შექმნილი საზოგადოება „სტალინის“ წევრებისა, რომელთა საქმიანობა და თვით ასეთი ავზნიანი საზოგადოების არსებობა ფრიად ანტიქართული და ანტიჰუმანური მოვლენაა.).

მეტად საყურადღებოა სტალინის პროგნოზი საქართველოს რესპუბლიკის „უკანასკნელი დღეების დათვლის“ შესახებ. ეს სიტყვები კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ კრემლის საიმპერიო კარზე უკვე არსებობდა საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფის განზრახვა იმპერიის საზღვრების გაფართოების მიზნით.

სტალინი ასევე არ შემცდარა იმის წინასწარ განჭვრეტაში, რომ ანტანტა მიატოვებდა საქართველოს...

ჩვენ არასდროს ვყოფილვართ სხვის იმედზე. ის ჭკუისსასწავლი ფაქტიც, რომ ანტანტის ქვეყნები არ დაგვეხმარნენ და არ დაგვიცვეს საბჭოთა რუსეთის აგრესიისაგან, მეტად ჩამაფიქრებელია და გასათვალისწინებელი...

მალე ლენინის განზრახვა ქართველმა ბოლშევიკებმა სისრულეში მოიყვანეს. ასე გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი საქართველოს თავისმა უღირსმა შვილებმა — ბოლშევიკებმა — რომელთაც საღი აზროვნება და პატრიოტიზმი დათრგუნული ჰქონდათ მარქსისტულ-კოსმოპოლიტური და ლენინური აზროვნებით.

მათ ლენინთან შეთანხმებითა და მისი მითითებით 1921 წლის თებერვლის დამდეგს წამოიწყეს რამდენიმე მაზრაში პროვოკაციული ცრუ გამოხდომები, რომელსაც თავად „აჯანყება“ უწოდეს. პირველი თოფი ბორჩალოს მაზრაში გავარდა. 16 თებერვალს შეიქმნა ცრუ მთავრობა, რომელიც თავის თავს „საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს“ უწოდებდა. ამ „მთავრობას“ თავკაცობდა ქართველი ერის სამარცხვინო შვილი, ილიას მკვლელი ფილიპე მახარაძე. ეს იყო სიგნალი, რათა საზღვარს მომდგარი წითელი რუსეთის მე-11 არმია შემოჭრილიყო საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია ის აღმაშფოთებელი ფაქტი, რომ ნოე ჟორდანიას მთავრობამ არ მოახდინა ამ მოღალატე მკვლელთა საკადრისი დასჯა და მხოლოდ მათ მოღალატეებად გამოცხადებას და ქონების კონფისკაციას დასჯერდა. ეს საქართველოს მთავრობის უსუსურობაზე და პოლიტიკურ სიბეცეზე მეტყველებს. მენშევიკებმა დაინდეს ბოლშევიკები, რომლებმაც არ დაინდეს სამშობლო.

ბოლშევიკებმა „თხოვნით მიმართეს“ წითელ რუსეთს „დახმარების“ აღმოსაჩენად.

პირადად ლენინის მითითებით საზღვარზე მყოფი მე-11 წითელი არმიის ნაწილები სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით შემოიჭრნენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამ დროს ბოლშევიკური პრესა ავრცელებდა დემაგოგიურ მონაჩმახს, თითქოს „საბჭოთა რუსეთმა ძმური დახმარების ხელი გაუწოდა საქართველოში აჯანყებულებს“.

წითელი ურდოების შემოსევამ დაქსაქსა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ძალები. ისედაც სუსტმა და მოუმზადებელმა ქართულმა გვარდიამ და იუნკრებმა, მიუხედავად ვაჟკაცური წინააღმდეგობისა, ვერ შეაჩერეს წითელი ველურები.

ნოე ჟორდანიამ და მისმა მთავრობამ თბილისი დატოვა და ქალაქის ევაკუაცია გამოაცხადა.

25 თებერვალს ჯალათი ორჯონიკიძე წითელი ურდოებით საქართველოს დედაქალაქში შეიჭრა. საქართველო დამარცხდა. ჟორდანიას მთავრობა ჯერ ქუთაისში, შემდეგ ბათუმში და იქიდან იტალიური გემით ემიგრაციაში გადაიხვეწა.

28 თებერვალს ლენინი სიტყვით გამოვიდა მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების პლენუმზე. ლენინმა კვლავ მოუხმო თავის განუყრელ მეგობარს — სიცრუეს. მან წარმოთქვა: „მესამე საერთაშორისო საკითხია კავკასიის ამბები. იქ ამ ბოლო დროს დიდი მასშტაბის ამბები მოხდა, რომლებიც დაწვრილებით ჯერ არ ვიცით, მაგრამ რომელთა აზრი ის არის, რომ ჩვენ დიდი ომის მიჯნაზე ვიმყოფებით. სომხეთისა და საქართველოს შეტაკებას არ შეეძლო ჩვენ არ ავეღელვებინეთ, და ამ ამბებმა გამოიწვია ის, რომ სომეხ-ქართველთა ომი აჯანყებად იქცა, რომელშიც რუსეთის ჯარების გარკვეული ნაწილიც მონაწილეობდა. და ეს იმით გათავდა, რომ სომხეთის ბურჟუაზიის მზაკვრობა ჩვენს წინააღმდეგ, დღემდე მაინც, მის წინააღმდეგვე შებრუნდა და შებრუნდა ისე, რომ თბილისში, უკანასკნელი ცნობებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შემოწმებული, საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა. ჩვენ ვიცით, რომ აჯანყება დაიწყო სომხეთში, სწორედ იმ ნეიტრალურ ზონაში, რომელიც საქართველოსა და სომხეთს შორის მდებარეობს და რომელიც საქართველო ანტანტის იმპერიალისტების ნებართვით დაიკავა“. (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 175-176).

სახელმწიფოს მეთაურის მიერ ისტორიული ფაქტების გაყალბების მსგავს ნიმუშს, ალბათ, ვერც იპოვით მსოფლიო დიპლომატიისა თუ პოლიტიკის ისტორიაში. ბოლშევიზმის ფუძემდებელი ამ მხრივ ჩემპიონი იყო!

ბრწყინვალედ გრძელდებოდა ლენინური პოლიტიკა საქართველოს კუთვნილი მიწა-წყლის იმ რეგიონების „გასაბჭოების“ საქმეში, სადაც არაქართველი მოსახლეობა სახლობდა. აქ ლენინური სცენარის მიხედვით ჩაიდო „ნაღმები“ — საფუძველი მიეცა ავტონომიათა ფორმირებას, რომლებიც ნავარაუდევი იყო მომავალში საქართველოს ეროვნული მოძრაობის (დასაშვებ შემთხვევაში) მოსახრჩობად. ასე მოხდა დღესაც, როდესაც საკავშირო კომპარტიისა და სუკ-ის შავბნელმა ძალებმა გაათამაშეს აფხაზური და ოსური „კოზირები“ საქართველოს ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. მათ კოზირი ნაცარში ჩაუვარდათ. ეროვნულმა მოძრაობამ დროულად ამხილა ლენინური პოლიტიკის ნამდვილი არსი და სცენარის ავტორები.

1921 წლის 4 მარტს წითელი არმიის ურდოები დაეპატრონნენ სოხუმს. ე. წ. „აფხაზეთის რევკომმა“ რადიოთი აცნობა ლენინს: „მშრომელთა ნებით იშვა ახალი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა — აფხაზეთი“. (გაზეთი „პრავდა“, 1936 წ. №63).

ასე მოინათლა აფხაზეთი „ახალ რესპუბლიკად“.

5 მარტს კი წითელმა ურდოებმა დაიკავეს ცხინვალი. 17 მარტს ხელოვნურად შეკოწიწებულმა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის რევკომმა“ გაუგზავნა დეპეშა ლენინს: „სამხრეთ ოსეთის ღარიბები კვლავ მაღლა სწევენ თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ აჯანყების დროშას და ღრმად სწამთ, რომ ისინი განამტკიცებენ თავისთან საბჭოთა ხელისუფლებას“. (გაზეთი „პრავდა გრუზიი“, 1921 წ. №18).

მაშ ასე, ლენინურმა პოლიტიკამ ამ ხანად გამარჯვება იზეიმა.

სატანური ძალების ამ გამარჯვებას გვერდს უმაგრებდნენ ერის მოღალატენი — ქართველი ბოლშევიკები. მათ მისალმება გაუგზავნეს მოსკოვში 1921 წლის 8 მარტს გახსნილ რკპ (ბ) მეათე ყრილობას. გავეცნოთ ამ მიმართვის სტრიქონებს: „საქართველოს კომუნისტური პარტია, გამთბარი, ბოლოს და ბოლოს, ოქტომბრის რევოლუციის სხივებით, უთვლის სალამს, მადლობას და აღტაცებას საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელსა და მისი საბოლოო გამარჯვების ორგანიზატორს — რკპ ყრილობას. ვიწყებთ რა ახალი ცხოვრების მშენებლობას მშრომელთა აჯანყებითა და წითელი არმიის ძმური დახმარებით განთავისუფლებულ საქართველოში, ჩვენ თვალს არ ვაშორებთ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ჩირაღდანს, რომელიც თქვენ დაანთეთ და აღმართეთ. იმედი გვაქვს, რომ სახელოვანი მებრძოლი პარტია, რომლის საშოდანაც გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტია, კვლავაც დაეხმარება თავის შვილს — პარტიას, წასწევს მას წინ და უფრო აამაღლებს. ასწავლის ბრძოლას და გაუძღვება გამარჯვებებისაკენ. გაუმარჯოს პროლეტარული რევოლუციის ბელადებს! გაუმარჯოს პროლეტარული რევოლუციის რაზმებს!“ („რკპ (ბ) X ყრილობა“, 1933, გვ. 172). სატანური პარტიის საშოდან გამოგდებული სატანური „შვილი-პარტია“ — საქართველოს კომპარტია — დღესაც განაგრძობს მაამებლურ ლაქუცა პოლიტიკას „დედა-პარტიის“ მიმართ. მაგრამ მეოცე საუკუნის მიწურულის ისტორიული მოვლენები, მარქსიზმისა და ლენინიზმის მარცხი ნათელი და სამართლიანი მომავლის უტყუარ იმედს გვისახავს. ჩვენ ოცდამეერთე საუკუნეს არ უნდა შევხვდეთ მონებად და ლენინური სტრუქტურის სახელმწიფოთი, მისი ანტიჰუმანური და ცრუ იდეებით.

**ზაზა ქავთარაძე**

**დამოუკიდებელი პროფკავშირები**

# პასუხი თოთხმეტ ხელისმომწერს

**გაზეთ** „ახალგაზრდა ივერიელის" 26 აპრილის ნომერში დაბეჭდილი წერილით — „მოყვარეს პირში უძრახე" — მოხიბლული დავრჩი. მართლაც ბევრი რამ შეუძლია კალამს (თანაც ასეთი ოსტატობით ნახმარს!) — ამტკიცოს ის, რომ თითქოსდა კარგა ხანია არ არსებობს პროფსაბჭოს აპარატი, რომ სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი თავისი არსებობით ხელს უშლის „სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე შემდგარ პროფკავშირულ კონფედერაციას" (არ არსებულს!), რომ მავანს „გაზეთის მკითხველის ფართო აუდიტორია შეჰყავს შეცდომაში". ბარაქალა თქვენს ოსტატობას! მაგრამ იქნებ უფრო კონკრეტულად და გულახდილად გვესაუბრა, მკითხველთან ერთად, თუ როგორ „ვცდილობ ეროვნული გმირის სახელის დამკვიდრებას", „საერისთაოს" შექმნას ე. წ. კონსოლიდირებულ, ეროვნულ, დემოკრატიულ პროფკავშირებში.

არ გამკვირვებია წერილის ავტორების ანონიმურობა, მაგრამ, ხახტად დავრჩი, როდესაც გაზეთიდან შევიტყვე რესპუბლიკის პროფსაბჭოს აპარატში „საქართველოს პროფკავშირების დემოკრატიული გარდაქმნების მხარდამჭერი საინიციატივო ახალგაზრდული ჯგუფის" არსებობა. ალბათ, იგულისხმებიან ის იმედისმომცემი, ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც პროფსაბჭოს ახლანდელმა ხელმძღვანელობამ დააწინაურა, კარგი ადგილები შეურჩია, უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებადაც წარადგინა. ძალიან კარგი, მაგრამ, სრულიად ბუნებრივია, მიჩნდება კითხვა: როგორ აპირებენ ისინი საქართველოს პროფკავშირების დემოკრატიულ გარდაქმნას, რეალური კონფედერაციის შექმნას, თუ, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებას გვაძლევენ შევქმნათ საკუთარი წესდება, ზემოდან „გვირჩევენ" პროფსაბჭოს აპარატთან შემდგომი თანამშრომლობის პირობებს. სადღაა დემოკრატია, თავისუფალი ნება?

წერილის ავტორებს, ალბათ, მოეხსენებათ, თუ რას ნიშნავს პროფკავშირების კონფედერაცია, სწორედ ისეთი, როგორიც მიღებულია მთელს ცივილიზებულ სამყაროში. ეს გახლავთ დამოუკიდებელი პროფკავშირების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელსაც არავითარი აპარატი არ ხელმძღვანელობს და რომლის შექმნასაც არავითარი ყრილობა „თავისი მოწვეული სტუმრებით" არ სჭირდება.

როგორც სჩანს, პროფსაბჭოს „კარგა ხნის არარსებულ" აპარატს უჭირს პოზიციების დათმობა, გვარწმუნებს რა „მბრძანებლურ-ადმინისტრაციული პროფსაბჭო ლიკვიდირებულია"-ო.

არ მინდოდა კონკრეტულ საკითხებზე მესაუბრა, მაგრამ მაიძულეს და ამიტომ ზოგი რამ უნდა შევახსენო, ზოგიც ავუხსნა და გავაგებინო, რადგან პროფკავშირული საქმიანობა თოთხმეტი ხელისმომწერისათვის, ეტყობა, მაინც უცხო ხილია და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკებისათვის ძნელი ასათვისებელია. მით უმეტეს, რომ როგორც ა. წ. 1 თებერვლის გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში აღინიშნა — დასასვენებლად მოსულან პროფსაბჭოში.

შევახსენებ, რომ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება 31 მარტს თავისი პირველი ყრილობის ჩატარების შესახებ, სხვათა შორის, ზემოდან ნებადაურთავად, და შექმნა 30-კაციანი მუშა ჯგუფი წესდებისა და პროგრამის შესამუშავებლად.

ეს ხდებოდა სწორედ მაშინ, როცა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი „ოფლს ღვრიდა" საკუთარი სავაჭრო კომბინატის შექმნისათვის, თითქოს და უფრო მნიშვნელოვანი სხვა პრობლემა არ არსებობდა. ამას, ალბათ, პროფკავშირების „დემოკრატიულ გარდაქმნაში" თავისი გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა.

ვფიქრობ, უფრო უპრიანი იქნებოდა ამ შემთხვევაში ზარმაცი მამლის მაგალითი გაგვხსენებოდა.

„მოყვარეს პირში უძრახეო", — არქმევენ წერილს. თუ პირში თქმა სურდა ვინმეს, ვინ დაუშალა 31 მარტს მედიკოსთა პროფკავშირის ყრილობაზე მოსვლა და განსხვავებული აზრის გამოთქმა, საკუთარი პოზიციის დაცვა. მაგრამ, ვაი რომ არაფერი ჰქონდათ სათქმელი და არც სხვისი მოსმენა სურდათ. მარტის თვის საქართველოს პროფსაბჭოს „სანაქებო" პლენუმზე, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ყრილობამდე ორი კვირით ადრე, პროფსაბჭოს სულ სხვაგვარი პოზიცია ეკავა.

ამის დასადასტურებლად პროფსაბჭოს აპარატის მიერ შემუშავებული ე. წ. საქართველოს პროფკავშირთა ფედერაციის საბჭოს დებულების პროექტის ერთი აბზაციც საკმარისია:

„საქართველოს პროფკავშირების ფედერაციის თავმჯდომარე ყრილობის მიერ აღჭურვილია სრულუფლებიანობით, წარმართოს და უხელმძღვანელოს ფედერაციის მთელ საქმიანობას"(?!).

მშვენიერი დასაწყისია პროფკავშირებში დემოკრატიული გარდაქმნებისათვის.

ნუთუ დაავიწყდათ პროფსაბჭოში, რომ მხოლოდ მედიკოსთა ყრილობის შემდეგ გახდა შესაძლებელი სერიოზული საუბარი პროფკავშირების კონფედერაციის შექმნაზე. პროფსაბჭოში თუ დაავიწყდათ, ჩემს კოლეგებს, სხვა დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების ხელმძღვანელებს, არ დავიწყებიათ.

მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის პირველ ყრილობაზე დასწრებას პროფსაბჭოს თავმჯდომარემ, ამხანაგმა პეტრე ჩხეიძემ წინა დღეს გაზეთ „კომუნისტში" ინტერვიუს გამოქვეყნება არჩია, რომელშიც აღიარა თითოეული დარგობრივი პროფესიული კავშირის დამოუკიდებლობის აუცილებლობა. მათი შეკავშირების ფორმად ფედერაცია ან კონფედერაცია შემოგვთავაზა, მაგრამ კონფედერაცია მისი არსის მცდარი გაგებით.

ზემოხსენებულ პასკვილშიც დაიწერა — „სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე შემდგარი პროფკავშირული კონფედერაცია" (?!).

თუმცა, ისიც მას შემდეგ, რაც საკავშირო პროფსაბჭომ შეიმუშავა და „დაუშვა" — „საბჭოთა პროფკავშირების კონფედერაციის ძირითადი ორგანიზაციული პრინციპები და მოღვაწეობის წესის" პროექტი.

ისევ „საბჭოთა"! ისევ „ორგანიზაციული პრინციპები"! ისევ „წესი"!

სხვათა შორის, არც „სოლიდარობის ერთიანი ფონდია" მოგონილი საქართველოში. ესეც ზემოდანაა ნებადართული.

მედიკოსთა პროფკავშირის ყრილობაზე „მოვლენილმა" პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან პროფსაბჭოში სულ ახლახან გადმოყვანილმა და, თუ არ ვცდები, სწორედ „დემოკრატიულ გარდაქმნების მხარდამჭერი საინიციატივო ახალგაზრდული ჯგუფის" ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა ამხანაგმა გ. ვოლსკიმ, ყრილობაზე საქართველოს პროფსაბჭოს მიმართ გამოთქმული სამართლიანი კრიტიკა ლანძღვა-გინებად აღიქვა.

შედეგმაც არ დააყოვნა.

ყრილობის დამთავრებისთანავე მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის კულტურისა და ტექნიკის სასახლის დირექტორის ამირან ებრალიძის და მისი მოადგილის არჩილ დუმბაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა სასახლის თანამშრომელთა „კრება", რომელსაც მისი 80 თანამშრომლიდან სულ რამდენიმე კაცი ესწრებოდა (შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ სასახლეში ჩატარდა ყრილობაც). „კრებამ" დაადგინა:

„საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის კულტურისა და ტექნიკის რესპუბლიკური სასახლე გამოეყოს (?!) საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს და დარჩეს (?!) საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს და დარჩეს (?!) საქართველოს სსრ პროფსაბჭოს შემადგენლობაში". როგორ მოგწონთ?

ეს სასახლე რუსთაველის გამზირზე უნივერმაღის მშენებლობისას აღებული მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ილია ჭავჭავაძის სახელობის კლუბის სანაცვლოდ აუშენდა მედიცინის მუშაკებს (რა სახსრებით — ამაზე ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ) და მთელი რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოების საკუთრებაა. ხოლო მისი ადმინისტრაცია წარმოადგენს პროფესიული კავშირის მიერ, საკავშირო პროფსაბჭოს სურვილით დადგენილი საშტატო განრიგის მიხედვით, დაქირავებულ აპარატს, რომელმაც, სამწუხაროდ, ფუნქციონირების მთელი წლის განმავლობაში სამედიცინო საზოგადოებისათვის ვერაფერი გააკეთა.

ა. წ. 3 აპრილს მართლაც ჩატარდა სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი საბჭოს ადგილმდებარეობის შესახებ. პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ დამოუკიდებელი პროფკავშირის საბჭო ე. წ. პროფსაბჭოს „შრომის სასახლიდან" გადასულიყო თავისივე საკუთარ სასახლის შენობაში. ადმინისტრაციული აპარატის დუბლირების მოხსნის მიზნით შემცირდა კულტურის სასახლის ადმინისტრაცია. ეს შემცირება მხოლოდ 6 პიროვნებას შეეხო, თუმცა თითოეულ მათგანს აქვს შეთავსება და უმუშევარი არავინ დარჩება. ხოლო საქართველოს პროფსაბჭოსთან გართულებული ურთიერთობის ვითარებაში, ხელფასის ფონდიდან 40 ათასი მანეთის ეკონომიას დამოუკიდებელი პროფესიული კავშირისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რაც, მე ვთვლი, ზედმეტ ახსნას არ საჭიროებს.

ნება მომეცით, ოდნავ მაინც გაგარკვიოთ პროფკავშირული თანხების ხარჯვის საკითხებში, რადგან წერილის ავტორებს ამაზე, როგორც სჩანს, ნათელი წარმოდგენა არა აქვთ.

უმორჩილესად ვთხოვ მომავალში მაინც ნუღარ შეეხებიან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტს და ნურავის მიამადლებენ ათობით მილიონ მანეთს, რადგან ეს სახელმწიფოს სახსრებია და მისივე დადგენილი წესით იქმნება და იხარჯება. პროფკავშირები კი 1933 წლიდან მათ ხარჯვასა და მოხმარებას უბრალოდ ხელმძღვანელობენ.

სულ თავდაყირა რომ დადგეს თოთხმეტი ხელისმომწერი და კიდევ სხვებიც, სახელმწიფოს მისია მაინც შესრულდება და პენსია, საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება და სხვადასხვა დახმარებები მაინც გაიცემა. უფრო მეტიც, ეს პროფკავშირის სპეციფიკური ფუნქცია სულაც არაა და ახლო მომავალში ალბათ მთავრობაც კორექტივებს შეიტანს ამ საკითხში.

პროფკავშირული ბიუჯეტი კი იქმნება პირველად ორგანიზაციებში პროფკავშირის თითოეული წევრის მიერ გადახდილი საწევრო ანარიცხებისაგან და „პროფსაბჭოს თანხები" სხვა არაფერია, თუ არა, ყველა დარგობრივი პროფესიული კავშირისათვის წლების განმავლობაში ჩამორთმეული „ხარკი".

რაც შეეხება ბოლნისსა და აფხაზეთში სახლების შესასყიდ თანხებს, კარგად ვიცი, თუ რა ოდენობით შეგროვდა. ეს თანხები სწორედ პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა ჩაურიცხეს პროფსაბჭოს ანგარიშზე, რათა პროფსაბჭოს სახელით შეძენილიყო სახლები. მედიკოსების პროფკავშირმა 40 ათასი მანეთი ჩარიცხა, პროფკავშირების კურორტთა მართვის საბჭომ 100 ათასი და ა. შ. ნამდვილად კარგი საქმე გაკეთდა, მაგრამ როგორ გგონიათ, პროფსაბჭოს გარეშე ვერ მოვახერხებდით იმ სახლების ყიდვას? ახლა კი „პროფკავშირული საერთო თანხებიდანო"(?!) — აქეთ გვედავებიან.

აფხაზეთი ვახსენე და არ შემიძლია არ ვთქვა, რომ დღემდე ვერ გავარკვიე პროფსაბჭოს პოზიცია აფხაზეთთან დაკავშირებით. ახლაც ვერ ვხვდები, რატომ მისაყვედურა პროფსაბჭოს თავმჯდომარემ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარედ და მდივნად ქართველების არჩევა, როცა იქ მედიცინის მუშაკთა დიდი უმრავლესობა — ქართველია.

ჩვენს „ჯიბეში ხელის მოფათურე ცენტრის" სახელი თვითონვე შეირქვეს და, ეტყობა, არც თუ ისე უსამართლოდ.

სულ ახლახან, საქართველოს პროფსაბჭომ დააარსა კომერციული ბანკი, რომელშიც „თავისი წილი" — ორი მილიონი მანეთი — შეიტანა „პროფსაბჭოს თანხებიდან". მოგებაც პროფსაბჭოსია, თუმცა ეს ორი მილიონი მანეთი პროფსაბჭოს 50-ოდე თანამშრომლის საკუთრებას სულაც არ წარმოადგენს და, ისევ და ისევ, დარგობრივი პროფესიული კავშირებისათვის, მათივე დაკანონებული წესით, ჩამორთმეული „ხარკისაგან" შედგება.

იფიქრებთ, ალბათ, სესხის აღებისას ექნებათ პროფკავშირულ ორგანიზაციებს შეღავათიო. არაფერი შეგეშალოთ!

ნებისმიერ ორგანიზაციას, კოოპერატივი იქნება ეს, თუ დარგობრივი პროფესიული კავშირი, სესხი ერთნაირი წესით (პროცენტით) ეძლევა!

ალბათ, კომერციული საქმიანობის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს პროფსაბჭოს კომერციული ბანკი, რომელიც შენივე თანხას გასესხებს, თანაც არც თუ ისე პატარა პროცენტით. ესეც თქვენი „მისტიური ცენტრი"!

წერილის ავტორები მედიცინის მუშაკებს უკვე ხსენებული კულტურის სასახლის მშენებლობაზე დახარჯულ თანხებს გვამადლიან. საინტერესოა, რატომ? მასზე დახარჯული სამი მილიონი მანეთიდან 1,5 მლნ მანეთი 1979 წელს რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის თხოვნით გამოჰყო საკავშირო პროფსაბჭომ, ნახევარი მილიონი მანეთი — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, [illegible] „პროფსაბჭოს თანხა" სულ 1 მილიონი მანეთია, რაც იგივე, ბოლო 4 წლის განმავლობაში ჩვენს მიერ გადახდილ „ხარკის" ნახევარიც კი არ არის.

თუ წერილის ავტორები საკავშირო ორგანოების ინტერესებს იცავენ რესპუბლიკაში, პირდაპირ თქვან, თუ არადა, საკავშირო პროფსაბჭოდან გამოწერილ თანხაზე გული რატომ შესტკივათ ან საკუთარ აქტივში რატომ ითვლიან?

მიკვირს ასევე, რატომ იღებენ ათვლის წერტილად მხოლოდ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში წართმეულ საწევრო დანარიცხების რაოდენობას. ალბათ, მე მიკავშირებენ. თუ დათვლაა, 1921 წლიდან დაიწყონ და გამოუვათ, რომ ორი ათეული მილიონი მანეთი მაინც აქვს პროფსაბჭოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ვალი.

უფრო მეტიც, ვინ მოატყუა წერილის ავტორები, რომ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის კულტურის სახლებს პროფსაბჭო ინახავს და აფინანსებს?

„მბრძანებლურ-ადმინისტრაციული პროფსაბჭო ლიკვიდირებულიაო", გვამცნობენ, ყოველ სიტყვაზე კი „პროფსაბჭოს თანხებიო" — არ ავიწყდებათ. ისიც ვერ გაუგიათ, რომ ასეთი ცნება არ არსებობს! ეს მთელი რესპუბლიკის პროფკავშირებისა და თითოეული მისი წევრის საკუთრებაა.

ურეკის კულტურის სახლი ახსენეს. ასეთი თუ საერთოდ არსებობდა, დღემდე არც გამიგია. ეტყობა, „პროფკავშირების დემოკრატიული გარდაქმნის მხარდამჭერ საინიციატივო ახალგაზრდულ ჯგუფს" პროფსაბჭოს რომელიღაცა ძველგაზრდა თანამშრომელი შეეპარა, რომელსაც ადამისა და ევას დროინდელი ამბები ახსოვს.

სვამენ კითხვას — რა ღირს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირისათვის აუნაზღაურებლად (ალბათ უნდოდათ ეთქვათ — უსასყიდლოდ) გაცემული ცხვარიჭამიის საბავშვო ბანაკიო. შევახსენებ — მილიონ ოთხი ათასი მანეთი, მაგრამ, რატომ უსასყიდლოდ?

ავჭალაში აშენებულ სანატორიუმ-პროფილაქტორიუმში ჩადებული მედიკოსთა მილიონი მანეთი არ ითვლება? ის კომპლექსი ხომ პროფკავშირების ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს გადასცა საქართველოს პროფსაბჭომ და დღეს მედიცინის მუშაკთათვის არც არსებობს.

არაფერს ვიტყვი სხვა ათას წვრილმანზე, ავტორთა სინდისზე იყოს, ერთს კი დავსძენ:

9 აპრილის ტრაგედია ერის, მთლიანად საქართველოს ტრაგედიაა და არავის აქვს უფლება დემაგოგიურად გამოიყენოს ჩვენს თავს დატეხილი უბედურება. მით უმეტეს, არა მგონია, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელ-თანამშრომლებს ჰქონდეთ ამ საყვედურის უფლება. თავს ვალდებულად არ ვთვლი, მათ პასუხი გავცე, სხვებს კი ვურჩევდი, სწორედ იმ ახალგაზრდათა ჯგუფს ჰკითხონ, ან ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ მასალებს გადახედონ, რათა უკეთ გაერკვნენ საქმის ვითარებაში.

და ბოლოს, ძალიან ცუდი წარმოდგენა ჰქონდათ წერილის ავტორებს საქართველოს სამედიცინო საზოგადოებაზე, თუ ჰგონიათ, რომ ერთ ადამიანს შეუძლია ას ოთხმოცი ათასი მედიცინის მუშაკის შეცდომაში შეყვანა.

უფრო მეტის თქმაც შეიძლებოდა. ვფიქრობ, საკმარისია. ანონიმურ თოთხმეტ ხელისმომწერს კი შემდგომ ლიტერატურულ წარმატებებს ვუსურვებ.

**სოსო კაციტაძე,**
**სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის საბჭოს თავმჯდომარე.**

# ფრთხილად, ღალატია!

ფრთხილად, ღალატია!

**რედაქციაში შემოსულია წერილი, რომლის ნაწილსაც ვაქვეყნებთ:**

**„1966 წლიდან საქართველოს ლომბარდიდან გადის მოსკოვის ცენტრალურ საიუველირო ბაზაში მოქალაქეების მიერ დაგირავებული გამოუსყიდავი ძვირფასეულობა — ოქრო და ვერცხლი — წლების მიხედვით თანხებში:**

**1. 1986 წელს: ოქრო — 300 ათ. მან., ვერცხლი — 180 ათ. მან., სულ — 480 ათ. მან.**

**2. 1987 წელს: ოქრო — 408.389 ათ. მან., ვერცხლი — 68, 860 ათ. მან., სულ — 477,249 ათ. მან.**

**3. 1988 წელს: ოქრო — 260,675 ათ. მან., ვერცხლი — 24,471 ათ. მან., სულ — 285,147 ათ. მან.**

**4. 1989 წელს: ოქრო — 459,380 ათ. მან., ვერცხლი — 73,116 ათ. მან., სულ — 532,496 ათ. მან."**

**თუ ვინმეს შეუძლია, ეჭვის ქვეშ დააყენოს ამ ციფრების სისწორე, ვთხოვთ, მოგვაწოდოს თავისი მოსაზრება.**

**ვის ედება ბრალი? ყველა იმას, ვინც იცის საქართველოს ძარცვის ეს ფაქტი, მაგრამ დღემდე არ განუცხადებია იგი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტერორისტის ჩანაწერები

**მე თუ** აღვწერე ის ამბავი, რასაც შევეწირე, შეეწირა დედაჩემის გულისწუხილი, ჩემი ძლივს გამომკრთალი მომავალი, უნდა დავახასიათო, რა გესლმა დაგესლა ჩემი პიროვნება. მით უმეტეს, რომ სტალინის დროს, ჩემი სტუდენტობისას, ათი ცხვირმოუხოცავი ბიჭი ვეებერთელა ტიტულით — კონტრრევოლუციური, ნაციონალისტური, წვრილბურჟუაზიული, სტუდენტური ანტისაბჭოთა ორგანიზაციისათვის — გაგვასამართლეს. იქამდე ერთი ჩვენთაგანი, ვითომ სამართლიანობის გულისათვის, გაანთავისუფლეს. ან იმ საწყალს რა ჰქონდა ჩადენილი, ან ჩვენ რა ჩაგვიდენია, რომ დარჩენილებს ოცდახუთი წლით პატიმრობა მოგვისაჯეს?.. ჩვენმა ამხანაგებმა, მაშინდელმა სტუდენტებმა ჩვენს ორგანიზაციას „ერთი მუჭა ქართველები“ შეარქვეს. ჩვენი განთავისუფლებული მეგობარი ისეთი ნაცემი იყო, რომ ჩვენში ყველაზე ადრე ის გარდაიცვალა. ჩვენი განთავისუფლება კი მხოლოდ ხრუშჩოვის პერიოდის დადგომამ გახადა შესაძლებელი. ამიტომ იყო, რომ ბევრ კეთილის მსურველში ჩემი შემდგომი საქციელი გულწრფელ გაოცებას იწვევდა...

თუ მოვახერხებ ჩემი პიროვნების დახასიათებას, უნდა წარმოვადგინო ჩემი განვლილი გზა — პრივილეგიებდაფრქვეული კომუნისტის ოჯახისშვილობა, როდესაც ეს პრივილეგიები ესოდენ ბუნებრივად მიგაჩნია და ანგარიშს არ უწევ, თუ საიდან მოდის; შემდეგი პერიოდი, უკვე ტროცკისტის შვილობა, როცა ყველა გერიდება და შენც ყველას ერიდები. შემდეგ კი... რაც ყველაზე მთავარია, როგორ შევაღე ციხის ან „ლაგერების“ კარი. თუმცა, ვინ შეგაღებინებს კარს, როცა ცხვრის ფარასავით შეგდენიან იქ, სადაც შენ არ გსურს ყოფნა. ცხვრისაგან განსხვავებით ადამიანური მხედველობა მქონდა. უპირველესად ამდენი დუხჭირი, დამონებული, პიროვნებაწართმეული, ყრუ ადამიანის ხილვამ გამაოცა. ნუთუ ამათი ეშინოდა სტალინს, პარტიას, სახელმწიფოს?! ეს ხალხი მხოლოდ იმისთვის ვარგოდა, რომ სახლში ღამით შეჩოჭრილი პარტიზანებისათვის, შეშინებულებს, საჭმელი მიეწოდებინათ. არა, მათთვის ციხეს ან ბანაკს მებრძოლი სული თუ პირადული მე არ წაურთმევია. ალბათ, ისინი დაბადებიდან იყვნენ ასეთი. რა თქმა უნდა, მათ მიღმაც იყვნენ მებრძოლები, მაგრამ ისინი ცოცხლები ამ ბანაკებამდე არ მოუყვანიათ...

მახსოვს ჩემს მიერ პირველად ნანახი, პატიმრების ძალებით შესრულებული კონცერტი. იწურებოდა მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი და დგებოდა მეორე. გრძელ სასადილო კარავში მაგიდები განზე მიელაგებინათ. დარჩენილ სკამებზე ბანაკის („ლაგერის“) ადმინისტრაცია იჯდა. პატიმრები, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჭეჭყილნი, ფეხზე ვიდექით. კარვის ერთ მხარეს სცენის მაგვარი რამ ამაღლებული ადგილი გამოეყოთ. ვიდექით ჩაბნელებულ კარავში და სცენიდან განათებულ ფარდას უხმოდ მივჩერებოდით. როგორც ნამდვილ თეატრში, ფარდის ახდის წინ სცენიდან იდუმალი სამზადისის ხმა გამოდიოდა. მე პირველად ვიყავი კონცერტზე და ვიცოდი, რომ ჩვენგან კედლით გამოყოფილი ქალთა „ლაგერიდანაც“ იქნებოდნენ თვითმოქმედების მსახიობი ქალები. ორი წელი იყო, რაც პატიმრობაში ვიყავი და ამ ხნის განმავლობაში ქალი არ მენახა, ქალის ხმის გაგონება სანატრელი გამხდარიყო ჩემთვის. უცებ, ჯერ ფარდა არ ახდილიყო, რომ გუნდმა დაიწყო:

Орел поднявшись с отдельных вершин,
О Сталине мудром, о нем, о любимом, прекрасные песни народы споют...

ღმერთო ჩემო, ამ ხალხს არ აკმარეს, რომ ოცდახუთი წლით სახლს, ოჯახს, თავისუფლებას მოწყვიტეს, ახლა სცენაზე ტინგიცობის გულისთვის, ზანაცის ერთფეროვნებიდან როგორმე რომ გაქცეულიყვნენ და ზედმეტი ერთი ლუკმა პური რგებოდათ, თავიანთ დამღუპველ ტირანს ქებას ასხამდნენ. ჩემთან ერთად ეტაპში ცივ ზამთარში ერთი მეორე რანგის კაპიტანი მოდიოდა. ისიც მღეროდა მათ გუნდში. მიდი და შეეკითხე, რას სჩადის, გიჟად ჩაგთვლიან: „ასეა საჭირო!“

აი, მიიცვალა ტირანი. პირველად ბანაკების ისტორიაში პატიმრები ღირსყვეს, რომ ერთი საათით დამსჯელი შრომისაგან გაენთავისუფლებინათ და ეუწყათ მათთვის, რომ პარტიის ბელადი და ჯართა უმაღლესი მთავარსარდალი გარდაიცვალა. მაშინ კალიმაზე ჯერ კიდევ სუსხი უჭერდა, მაგრამ ამ ყინვებში გაზაფხულის სუნი იგრძნობოდა. ამ გაზაფხულის მოლოდინს თვეები მიყვებოდა, თვეებმა კი წლები შეადგინა. ხალისი არ ქრებოდა. შეიძლება სხვა ერის შვილისთვის ეს შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ ჩვენს ქართველობას გული გაგვიყინა მოღწეულმა ხმამ, რომ სადღაც სამშობლოდან მრავალი ათასი კილომეტრის დაშორებით, ამურის კომსომოლსკის მიდამოებში, ბანაკში ერთ ღამეში ვეებერთელა თავდასხმის შედეგად 300-მდე ქართველი დაუხოცავთ. ბანაკის ადმინისტრაციას სულ მცირე ყურადღება რომ გამოეჩინა, ეს არ მოხდებოდა. ვინ იყვნენ თავდამსხმელები? — ამბობდნენ, „ბლატნაია მასტ“, რომელნიც ისტორიულად რუსეთის ციხეებში და კატორღებში ყოველთვის იყვნენ. სიტყვა „მასტი“ სათამაშო კარტის ფერს ნიშნავს და ამით აღინიშნება ციხის სხვადასხვანაირი პრივილეგიებით ღეჭურვილი ქურდები, რომელნიც ბანაკებში უმცირესობას, მაგრამ უსასტიკეს ხალხს წარმოადგენს. ისინი ყოველთვის იბრძოდნენ ერთმანეთში, მაგრამ ეროვნული გამორჩევითობით არასოდეს. რა მოხდა ახლა, რომ ამ „ბლატნოებმა“ ღამით, რკინებით და მილებით შეიარაღებულებმა სამას ქართველს თავდასხმა მოუწყვეს? ვინ იყვნენ ეს ქართველები? ამბობდნენ, ბევრი მათგანი ადმინისტრაციული თანამდებობის ხალხი იყოო. მაგრამ რომელ საქმეზე ჩავარდნილები, ეს იმ ხანად ვერაფრით გავიგეთ. მათში რომ ბევრი ტყვედნამყოფი ერია, ამას კი ცხადად ამბობდნენ. საოცარია, რომ აქამდე ქართველი ტყვეების წინაშე ქურდები უბატონოდ ხმას ვერ იღებდნენ. ხმებს ხმები ემატებოდა და ამ ხმების სუსხმა ჩვენს ბანაკშიც შემოაღწია. ერთ ღამეს დასავლეთ უკრაინელებმა, რომლებიც ბანაკებში უკვე უმრავლესობას წარმოადგენდნენ და თითქოს მათ ბატონობას წინ ველარავინ უდგებოდა, კოლია ძაძამიას, რომელიც უკვე შანსებიდან ჩამოვარდნილი ქურდი იყო, მძინარეს საბანი გადაახურეს და თითქმის უმიზეზოდ რკინის მილი ურტყეს. მისი ნახვა მე და აბრეკმა რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოს ფანჯარასთან მიპარვით მოვახერხეთ.

ჩვენს დაძახებაზე კოლია საწოლიდან აკანკალებული ძლივს ადგა, თავი თეთრი ბინტით ჰქონდა შეხვეული. შეუხვეველი, კბილებჩაცვენილი პირი საშინლად დასიებოდა. გადიდებული თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა და ნახევრად ღმუილით შემოგვჩივლა:

— თქვენ სად იყავით? რატომ გამიმეტეს ასე?

მე კოლია ადრე მაინცდამაინც არ მიყვარდა, მაგრამ როდესაც ის ასეთ დღეში დავინახე, სრულიად უმიზეზოდ ნაცემი, მასთან ერთად მეც ავტირდი. ბანაკში ორი ქართველი ვიყავით დარჩენილი, ხოლო უკრაინელები მრავალი ასეული, საერთოდ ყველა ეროვნებებზე, ერთად აღებულზეც კი, მეტი. რა შეგვეძლო ჩვენ გაგვეწყო ამ გონებაჩლუნგ, ყოვლად ველურ ბრბოსთან?..

●

აი, ასეთი გრძნობით დავბრუნდი ბანაკიდან. რა თქმა უნდა, შეთქმულების ის ფორმა, რომელიც ჩვენ, სტუდენტებმა მოვიაზრეთ, უკვე ბავშვობად გვეჩვენებოდა და მიუხედავად ჩვენი თავშეკავებისა, სადღაც ერთმანეთისადმი საყვედური მაინც წამოგვცდებოდა დაკარგული ახალგაზრდობის გამო.

გადიოდა ხანი, ცხოვრებისათვის ჭიდილმა ჩვენ ერთმანეთს ჩამოგვაცილა, ამიტომ ჩვენ შორის ჩნდებოდნენ ახალ-ახალი ნაცნობები. ერთ-ერთმა ახალგაცნობილმა უცებ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ეს იყო შოთა ვიქტორის ძე მექვაბიშვილი, ანუ, როგორც მას ყველა იცნობდა, ოთარ მექვაბიშვილი, ჩვენ ერთ უბანში, ახლანდელ ჯომშენებელზე ვცხოვრობდით. ადრე შორიდან შემჩნეული მყავდა. ჩემზე დიდი არც სიგანით და არც სიმაღლით არ იყო, მაგრამ მისი სხეული არაჩვეულებრივ ფიზიკურ ძალას გამოსახავდა. ჩვენ ერთმანეთი „ალაზნის სეტყვის საწინააღმდეგო ექსპედიციაში“ მუშაობისას გავიცანით შემთხვევით. იგი რუისპირის ბანაკის კომენდანტი იყო, მკაცრი, გოროზი, მარტოსულად დაიარებოდა. ერთხელ რამდენიმე თანამშრომელი ერთი გლეხის საკმაოდ ფართო ოთახში ვათევდით ღამეს. აგვიტყდა საქართველოს მომავალზე კამათი. უცებ ოთარი შემოვარდა, შეშფოთებული.

— რა ამბავია, — იყვირა, — რას ჩხუბობთ!

როდესაც ავუხსენით, თუ რისთვის ვკამათობდით, მთელი გრძნობით ჩვენს კამათში ჩაერია. შევნიშნე, სხვებივით საქართველოს დამოუკიდებლობისადმი პესიმისტურად არ იყო განწყობილი და იმედიანი მზერით ყველაფერში მე მეთანხმებოდა.

შემოდგომაზე დაიშალა ჩვენი ექსპედიცია. წამოვედით თბილისში. ვინ სად დაიწყო მუშაობა. ოთარს ცოტათი ხელი შეეშალა, უცებ ვერ მოეწყო სამუშაოდ იქ, სადაც უნდოდა. ამიტომ ხშირად დადიოდა ჩემთან ბიბლიოთეკაში.

ერთხელ ოთარი თავისი ახალგაზრდობის, ლენინგრადში გატარებულ წლებზე მიყვებოდა. რაღაც წაიტრაბახა. როდესაც უნდობლად შევხედე, ხმამაღლა, კეთილად გაიცინა. მე ის დიდი ხანია მომწონდა და მის ბრაზიან, შფოთიან სახეზე ამ კეთილმა სიცილმა გამაბედინა ჩემი განზრახვის თქმა, ჯერ კიდევ ჩემი უდანაშაულო პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ გულში ჩამარხული, არც თუ ღრმად გაცნობიერებული პოლიტიკური მოქმედების აზრის გაზიარება.

— ოთარ, რას იტყვი, არალეგალური ორგანიზაცია რომ შეიქმნეს საქართველოს განთავისუფლებისათვის?

— არა, — მითხრა უცებ, — ორგანიზაცია არა, მაგრამ ახლა, საქართველოს გასაბჭოების ორმოცი წლის თავზე, ხრუშჩოვი რომ ჩამოვა, იმისი მოკვლა კი საჭიროა.

ოჰო, გავიფიქრე, ამას თარიღიც კი ამოურჩევია. მართლაც, რამდენიმე ხნის წინ ხრუშჩოვი აზერბაიჯანის გასაბჭოების 40 წლისთავს დაესწრო. იგი აუცილებლად სასომხეთშიც და საქართველოშიც უნდა ჩამოსულიყო. მერე ფეხით ასფალტზე პარალელური ხაზების გადაკვეთა დახაზა და მითხრა, რომ ფილმი „ტევტონის მახვილი“ უნახავს. ნაჩვენები ყოფილა, თუ როგორ მოკლეს იუგოსლავიის მეფე ალექსანდრე და საფრანგეთის მინისტრი ბარტუ. — გზაჯვარედინზე ვილაცამ გაისროლა. პოლიცია მას მივარდა. მეორე მხრიდან კი მეფეს და მინისტრს შეუმჩნევლად მკვლელები მიუახლოვდნენ და ტყვიით დაცხრილეს.

— ორგანიზაცია რაც უფრო დიდია, ჩავარდნის შესაძლებლობა მეტია, ხოლო რეალურად რაიმეს გაკეთების შანსი — ნაკლები. მე მჭირდება მხოლოდ ერთი შეთქმული, რომ გასროლით, ან რაიმეთი ყურადღება მიიქციოს. მე კი ამ დროს მთავარს გავაკეთებ.

— კი, მაგრამ ოთარ, მერე რას მოგვიტანს მისი სიკვდილი, განა სტალინი არ მოკვდა?

— ეე, ალიკო. დიქტატორის სიკვდილი ერთია, მისი მოკვლა კი სულ სხვაა. სტალინის სიკვდილი გვიან გამოაცხადეს. ამ დროს მის ადგილზე ხრუშჩოვის კანდიდატურა უკვე წამოყენებული იყო. აირჩიეს თუ არა ხრუშჩოვი, საქმე კინაღამ სამოქალაქო ომამდე მივიდა...

— სხვათა შორის მეც მაგრე ვფიქრობ. კრემლში ძალთა ისეთი თანაფარდობაა, რომ ვინმეს ქვევით თუ ჩაუშვებენ, თორემ თავის თავზე ზევით ეცდებიან არავინ აუშვან. ოთარ, მაგრამ მე მაინც ვერ გამიგია, მერე ჩვენ რა? გინდ სამოქალაქო ომი ატყდეს. ჩვენს განადგურებას მაინც მოასწრებენ. მერე ჩვენი სიკვდილის შემთხვევაში ხალხი იტყვის, სულელები იყვნენო...

— შეიძლება მაგრეც მოხდეს. მაგრამ ხომ ხედავ მთელ მსოფლიოში დეკოლონიზაცია დაიწყო, გაერთიანებული ერების ეგიდით. თვით ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნები აღწევენ დამოუკიდებლობას, ჩვენ? შევრჩით კოლონიალურ ბურჯებზე შემდგარ ამ დამპალ იმპერიას და ხმას ვერ ვიღებთ... არ ჯობია, რომ დამფრთხალი საქართველო თავმოგლეჯილი რუსეთის წინაშე აღმოჩნდეს?..

როდესაც ოთარს ვეკამათებოდი, ჩემი გულის იარას, საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევის ჯერ განუხორციელებელ სურვილს ნელი-ნელ მალამო ეცხებოდა. ოთარის წინადადება თანდათან ჩემს აზრში რეალურ სახეს იძენდა. საქმე ისაა, როდესაც მე რუისპირიდან, სადაც ოთართან ერთად ვიყავი „ალაზნის ექსპედიციაში“, უჯარმის ბანაკის უფროსად გადავედი, იქ ჩვენს ბანაკს შემოეკედლა რამოდენიმე ჯარისკაცი, საღამოობით თავისუფალი დროის გასატარებლად. მათ შორის იყო ერთი თამამი და უცნაური ბიჭი, ჩუმა. იგი საკმაოდ თამამად გამოსთქვამდა თავის მთავრობის საწინააღმდეგო შეხედულებებს. რამდენჯერმე შემთავაზა „ლიმონკები“ სათევზაოდ, მაგრამ ამით არ მისარგებლია. ერთხელ სურვილი გამოვთქვი და მან ლინზიანი კარაბინი მათხოვა დროებით, რა თქმა უნდა, ტყვიების გარეშე, ვინაიდან ახლომახლო გასროლის ხმა გარნიზონის მეთაურობაში აურზაურს გამოიწვევდა. აი, ახლა, ყოველივე ამის გახსენებამ ჩემში იმედი დაბადა იარაღის შოვნისა. ჩუმა ჯერ დემობილიზაციაში არ ხვდებოდა. ეს მე ოთარისათვის არ გამიმხელია. ვინაიდან ჯერ კიდევ ჩვენი დამოკიდებულება აზრთა დაზვერვას გავდა.

შემდეგ ჩვენ ვილაპარაკეთ, თუ ვინ იყო კრემლში ისეთი, ვისაც შეეძლო ხრუშჩოვის შეცვლა თავის თანამდებობით. ოთარმა თქვა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მგონი ფლორ კოზლოვზე, რომელიც იმ დროს ლენინგრადის ოლქკომის მდივანი იყო. მე კი რატომღაც ვთქვი სუსლოვის შესახებ, რომელიც ცკ-ს მდივანი იყო იდეოლოგიის დარგში. ეს იყო სხვათა შორის ნათქვამი ჩვენი დაცილების წინ, საკმაოდ არასერიოზულად და ცხოვრებაში არც გამახსენდებოდა, რომ შემდეგ უკვე კგბ-ში ერთ გარემოებას არ ვაეძულებინე, მომეგონებინა.

**ალეკო მელაძე.**

**(გაგრძელება იქნება)**

# საქართველოს რესპუბლიკის სამხარეო თვითმმართველობის (სამხარეო ფედერალიზმის) ზოგადი პრინციპები

**(დასასრული)**

ელოს რესპუბლიკის სუბიექტის (მხარის) ტერიტორიაზე, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის სუბიექტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტი წინააღმდეგობაშია რესპუბლიკის კონსტიტუციასთან, იგი მიღების დღიდან გაუქმებულად ითვლება.

გ) საქართველოს რესპუბლიკის სუბიექტს უფლება აქვს ჰქონდეს საკუთარი უფლებრივი და სასამართლო სისტემა. რესპუბლიკის კონსტიტუცია განსაზღვრავს რესპუბლიკის სუბიექტთა სასამართლო ორგანოების ორგანიზაციულ წყობასა და იურისდიქციის საზღვრებს. თითოეული მხარის უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენს მხარის უზენაესი სასამართლო, რომლის შემადგენლობა შესაძლებელია აირჩეს მოსახლეობის მიერ, ან დაინიშნოს სამხარეო სათათბიროს თანხმობით მხარის თავმჯდომარის მიერ. უმდაბლეს სასამართლო ინსტანციებს წარმოადგენენ საერობო (მუნიციპალური) სასამართლოები. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

**3. სამხარეო კომპეტენციათა სფერო**

ა) რესპუბლიკის სუბიექტის (მხარის) უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს ერთპალატიანი სამხარეო სათათბირო, რომელიც პირდაპირი არჩევნებით აირჩევა. მხარის უმაღლესი თანამდებობის პირს წარმოადგენს მხარის თავმჯდომარე, რომელიც აგრეთვე პირდაპირი არჩევნებით აირჩევა. თავმჯდომარე წარმოადგენს აღმასრულებელი ძალაუფლების მატარებელს და განახორციელებს ამ ძალაუფლებას სამხარეო აღმასრულებელ უწყებათა საშუალებით.

ბ) ადგილობრივი მმართველობის უფლებამოსილება განისაზღვრება კანონებით ადგილობრივი მმართველობის შესახებ და კანონებით სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების შესახებ (განათლება, სამედიცინო სამსახური და სხვა). მუნიციპალური ხელისუფლების მოქმედების ძირითადი მეთოდებია: კონტროლი მუნიციპალურ საკუთრებაზე, ამ საკუთრების მართვა და რეგულირება. მუნიციპალური ხელისუფლება საქართველოს რესპუბლიკის მხარეებსა, ქალაქებსა და დაბებში წარმოდგენილია არჩევითი ორგანოს — ერობის — სახით, ხოლო სოფლად — თემით. ქ. თბილისს — საქართველოს დედაქალაქს — აქვს რესპუბლიკის სუბიექტის სტატუსი.

ქ. თბილისი იყოფა ადმინისტრაციულ უბნებად, რომელთაც მუნიციპალური ხელისუფლების უფლებები გააჩნიათ.

**გ) ეკონომიკური თვითმმართველობა**

სამხარეო ეკონომიკური თვითმმართველობა და საქართველოს რესპუბლიკის მართვა ხორციელდება ეროვნული ბანკებისა და სამხარეო ბანკების მიერ მონეტარული საშუალებით, ანუ მიმოქცევაში არსებული ფულადი სახსრების მეშვეობით, თავისუფალი ეკონომიკის, თავისუფალი საბაზრო მექანიზმის და თავისუფალი კონკურენციის პირობებში.

თვითოეული ზემოთ მოყვანილი თეზისი გავრცობასა და შევსებას საჭიროებს. და სამხარეო თვითმმართველობის პრინციპის საბოლოო ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, კონსტიტუციაში.

სამხარეო თვითმმართველობის (სამხარეო ფედერალიზმის) პრინციპით საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შენება არამც და არაც არ გულისხმობს საქართველოს დაყოფას „საერისთავოებად“, „სამთავროებად“ და მით უმეტეს შორს არის კუთხურობის ინკრუსტირებისაგან. კუთხურობა არსებობდა ერთიანი კულტნაციონის რღვევისა და თავადთა ერისთავთა ანტაგონიზმის გამო. სამხარეო თვითმმრთველობის პირობებში გამორიცხულია სამხარეო სათათბიროს თავმჯდომარეთა (მაგალითად დღევანდელ პირობებში რაიკომის მდივანთა შორის) ანტაგონიზმი. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან, ხოლო მსგავსი დამოკიდებულების პრაქტიკული განხორციელება დანაშაულია და ისჯება კანონით. დღეს პარტოკრატიულ ლიდერთა მსგავსი მოქმედება პაციფისტური კრიტიკის საგანია და უშედეგო მღელვარებათა საბაბი.

სამხარეო თვითმმართველობის იდეის შესაძლებელ ოპონენტებს ილიას სიტყვებს შევახსენებ: „ვერაფერი სანუგეშო ამბავია, როცა კაცი საზოგადო საქმის მოედანზედ გამოდის, მარტო იმისათვის, რომ სიტყვა და აზრი წინ გავიგდო და ვითამაშოვო. ყოველი თამაში შექცევაა და საზოგადოს საქმეს უპატიურად ხდის“.

სამხარეო თვითმმართველობა, ჩემის აზრით, შეკრებაა ქართული სასიცოცხლო ენერგიისა და არა მისი გაბნევა, გაძლიერებაა და არა დასუსტება სახელმწიფოსი. კვლავაც, რომ დაიჭიმოს საქართველოს ერთიანი სიცოცხლის ძარღვი, მთელისა და ნაწილის შედუღაბებაა საჭირო და არა ათქვეფა, ვინაიდან ნაწილი შემადგენელია მთელისა და ნაწილის უარყოფა მთლიანობის რღვევის დასაწყისია. „დიდებული ქართველობის აზრის“ აღდგენა ნაწილისა და მთელის მართებული მიმართების განსაზღვრაში მდგომარეობს.

**ზურაბ მაისურაძე,**

**რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის კონსტიტუციური ფრაქციის თავმჯდომარე.**

# გათეთრდების ყორანი?

**ხამოცდაათიანი** წლებიდან ქიზიყში უცნაური ხალხი აღმოჩნდა. ევროპულად გამოწყობილი ინტელიგენტები სოფლებში დადიოდნენ, ეკლესიის ზარებს დააგუგუნებდნენ, შედგებოდნენ სკამებზე და დაიწყებდნენ ქადაგებას. ამის გამო მათ „მესკამურეები" შეარქვეს. მათ ერთი ნაკლი ჰქონდათ: არსებულ უკუღმართობას მარჯვედ ააშკარავებდნენ, მომავლის სურათს კი ნათლად ვერ ხატავდნენ...

გადიოდა დრო, იხვეწებოდა ბრძოლის ფორმები.

1902 წელს სიღნაღში ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატთა წრე, რომელმაც მომდევნო წლიდან რსდმპ-ს ერთ-ერთ ორგანიზაციად გამოაცხადა თავი... ქიზიყელმა სოციალ-დემოკრატებმა დიდი როლი შეასრულეს მუშათა მოძრაობის ისტორიაში ამიერკავკასიის მასშტაბით.

... ქიზიყში დიდხანს მოღვაწეობდა ფ. მახარაძე, როგორც ქვემო მაჩხაანის დეპოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ეს იყო ჭეშმარიტი აღორძინების პერიოდი...

... ილიას მკვლელობამ გაართულა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების მდგომარეობა მაზრაში. ირ. ევდოშვილი ზუსტად ვერ გაერკვა სიტუაციაში და სოციალ-დემოკრატებს დროებით ჩამოსცილდა.

რევოლუციის მომღერალი პარტიისაკენ ი. სტალინმა შემოაბრუნა.

... ჩაიქროლა 1917 წლის თებერვალმა. მას მოჰყვა დიდი ოქტომბერი. 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. სიღნაღის მაზრაში ამ ამბავს დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან.

... არისტოკრატია ვერ გასცდა სუფრის პატრიოტიზმს, „დემოკრატიულმა სამოთხემ" ნაყოფი ვერ გამოიღო. თანდათან მწიფდებოდა რადიკალური გარდაქმნების აუცილებლობა...

სიღნაღის მაზრის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ დიდი როლი შეასრულა 1919 წლის საყოველთაო-სახალხო აჯანყების მომზადებაში...

... სიღნაღის მაზრის ბოლშევიკებმა ფრიად სერიოზული დავალება მიიღეს. მათ მეთერთმეტე არმიისათვის გადასაცემად უნდა დაეზუსტებინათ კახეთში განლაგებული ქართული ნაწილების დისლოკაცია. გეგმა ბაქოში ლიზა არჩვაძე-ბერბერაშვილს გაატანეს; მაგრამ ოპერაცია გამცემის წყალობით ჩაიშალა. ლიზას დახვრეტა მიუსაჯეს. ს. კიროვის აქტიური ჩარევით მას შეუმსუბუქეს სასჯელი.

... 17 თებერვალს სიღნაღის თავზე ფრიალებდა სოციალისტური რევოლუციის წითელი დროშა, სიღნაღის მაზრის რევკომის პირველი თავმჯდომარე გახდა ცნობილი რევოლუციონერი მოსე ვარამაშვილი.

აღსრულდა, ახდა მშრომელი ადამიანების სანუკვარი ოცნება! მოვიდა მკვეთრად გამოკვეთილი რწმენის ხელისუფლება. მართვის სადავე აიღეს მტკიცე ნებისყოფის ადამიანებმა. 1923-24 წლებში თითქმის ერთიანად იქნა ლიკვიდირებული ყველა ანტისაბჭოთა დაჯგუფება. მოსპეს ნაციონალისტური გუნდებიც და ჩვეულებრივი მოთარეშეებიც.

მწვავე კონვულსიებით იბადებოდა პროგრესი, თანდათან ქრებოდა დაბნეულობა. ახალი ხელისუფლება წარმატებით ებრძოდა პოლიტიკურ ოპოზიციას. იყო ცუდი შეცდომებიც, გადახრებიც, დანაშაულიც... და მაინც იყო წარსული საოცარი, გრანდიოზული, განუმეორებელი. ეს 70 წელი მთელ საუკუნეებს გადასწონის.

●

არის ერთი კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც დროის ცვალებადობის კვალობაზე სწრაფად, „ოპერატიულად" იცვლიან ხოლმე შეხედულებებს. მეტიც, ზოგიერთი მათგანი ახერხებს ჩვენს დროში, ჩვენს თვალწინ სხვადასხვანაირი სახე ჰქონდეს: სტალინელების წრეში ისინი იცავენ ი. ბ. სტალინს, ანტისტალინელთა შორის ლანძღავენ სტალინს, როცა დასჭირდებათ, იცავენ კომუნისტურ იდეოლოგიას, ამავე დროს ეთამაშებიან (და, როგორც ჩანს, ზოგჯერ წარმატებითაც) ე. წ. არაფორმალებს. ერთი სიტყვით, მსგავსი ყაიდის ხალხი მსოფლმხედველობრივად, მორალურად სრულ უპრინციპობას იჩენს. მაგრამ მათ აქვთ ერთი მყარი პრინციპი, რომელსაც არასოდეს არ ღალატობენ — ილაპარაკონ, წერონ და აკეთონ ისე, როგორც ეს სასარგებლო იქნება მათი პირადი კეთილდღეობისა და კარიერისთვის. ასეთი ტიპის ადამიანის „მშვენიერი" განმასახიერებელი გახლავთ ლოვარდ ტუხაშვილი. აქ გამოქვეყნებული ნაწყვეტები მოტანილია სტატიიდან, რომელიც მან 1987 წლის 27 დეკემბერს გამოაქვეყნა გაზეთ „კომუნისტში". ვფიქრობთ, აქ გაცხადებული ავტორისეული პოზიცია და მისი დღევანდელი სოციალური და იდეოლოგიური მიმიკრია ნათელჰყოფს, თუ როგორ პიროვნებასთან გვაქვს საქმე.

**გურამ ყორანაშვილი**

# „სადიდებლად სრულიად საქართველოსი"

## ღია წერილი მწერალთა კავშირის მდივანს ხუტა ბერულავას

ერთი კიდევაც შესდგომია საქმეს. ჰყვებიან, თუ როგორ დაჰქრის კოლმეურნეობიდან საბჭოში, საბჭოდან რაიკომში, რაიკომიდან სამშენებლო ორგანიზაციებში, სამშენებლო ორგანიზაციებიდან ისევ რაიკომში, ისევ რაიკომში, ისევ რაიკომში, ისევ რაიკომში... დაჰქრის გასაოცარი სისწრაფით, თავისი კომპლექსისათვის გასაოცარი სისწრაფით. ჰყვებიან, იცინიან. დაზამთრებამდის უნდა მომისწროთო. ვითომ ისიც მეწყერს დაეტანოს, კარავში ცხოვრობდეს და სხვა თავშესაფარი არ გააჩნდესო. ჰყვებიან. იცინიან. მე არ მეცინება. არა მგონია, თქვენც გაგეცინოთ. თქვენი ინტერვიუს პათოსი ამას ვერ იგუებს.

და მაინც, რაც უნდა იყოს, აქ არ იცხოვრებენ, ვერ გაეყრებიან ოჯახებსა, თბილისს ვერ გაეყრებიან, ვერ გასძლებენ უთქვენოდა. თქვენთან უნდა იყვნენ, თქვენს გვერდით უნდა იყვნენ, თქვენ უნდა შემოგცქეროდნენ თვალწარბში, თქვენი წყალობა რომ არ მოაკლდეთ.

მეოთხე: ადგილობრივ ხელმძღვანელებს შენობები და ბინები მართლაც ასე რომ ეადვილებოდეთ, თეატრებს მიჰხედავდნენ. ამის გამოა, რომ დასები ვერ შეუკრავთ, მსახიობები ვერ მიუწვევიათ, რეჟისორი ვერ მიუწვევიათ, ვერ დაუმაგრებიათ ადგილებზე. ამის გამო, სხვა ბევრი სირთულეც იქმნება. დამერწმუნებით, რომ თეატრი, მართლაც ეროვნული საქმეა, მართლაც მნიშვნელოვანი და ეროვნული მოვლენაა.

დავეშურები აქვე განვმარტო, კეხი რომ არ შემომიბრუნოთ: როგორ მწერლობა არ არის ეროვნულიო, — ტიახ, ასე რომ არ შემომიბრუნოთ კეხი, აქაც გავიმეორებ, ანთუ უფრო მკაფიოდ გამოვკვეთ: მწერლობა ეროვნულია და უპირველესი ეროვნული მოვლენაა, ერი მწერლობაა, მწერლობა ერია, ოღონდ მწერალთა კავშირის მისიონები, განყოფილებები, მითუმეტეს ასე ხელოვნურად შეკოწიწებული განყოფილებები ყოვლად ზედმეტია დღევანდელ პირობებში, თვით მწერალთა კავშირი ზედმეტი ტვირთია და თქვენი მწერალთა კავშირი არც არის ეროვნული მოვლენა, ის საკავშირო მოვლენა გახლავთ.

მეხუთე:

თუმცა, კმარა, ამდენი განმარტებაც არ იყო საჭირო, თქვენ ისე ნათლად წერთ. ესეც მხოლოდ იმიტომ, დაგარწმუნოთ, რომ ყველაფერს მივიხვდით.

თქვენს ინტერვიუში ზუგდიდის ინსტიტუტსა და ქიმიის ლაბორატორიებზეც ლაპარაკობთ. ეს არ შედის მწერალთა კავშირის იურისდიქციაში რაღა თქმა უნდა. ალბათ დაგჭირდათ, ინტერვიუს მოცულობა რომ გაზრდილიყო. ინტერვიუც თავისებური ჟანრი გახლავთ. ის არ შეიძლება მეტისმეტად ვრცელი იყოს, კუდმოკვეცილიც რომ არ ივარგებს. თქვენვე აღნიშნავთ: რომ ამას, ინსტიტუტისა და ქიმიის ლაბორატორიების საკითხს თქვენზე უკეთ გადასწყვეტენ სახალხო განათლების სამინისტროს მესვეურები. მართალი ბრძანდებით. და მეც ამაზე აქ საუბარს აღარ გაგიბამთ.

და ბოლოს:

ტრაბახობთ, მწერალთა კავშირში „ყოველდღე მოდის უზარმაზარი ფოსტა" და დაასკვნით, „გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას: ქართველი ხალხი არასოდეს ყოფილა ისე ახლოს თავის მწერლობასთან, როგორც ამჟამად", ტრაბახობთ, როგორც მწერალთა კავშირის მდივანი და უდიდესი შეცდომა მოგდით. ქართველი ხალხი ყოველთვის თანაზიარი გახლდათ თავისი მწერლობისა და მწერლობაც ხალხის ბედს იზიარებდა, მთელს იმ სიმწარეს იზიარებდა და სწორედ ისე იზიარებდა, როგორც თვით ხალხი, როგორც ხალხის სისხლი და ხორცი. ტრაბახი ტრაბახია, მაგრამ არ შეიძლება ამის დავიწყება, სწორედ მაშინ, როცა უკვე ასე აშკარად იწერება ყველაფერი და თანაც ასე ერთბაშად იწერება. ქვეყნდება უამრავი დოკუმენტი იმისა, ქართველი ხალხი და ქართული მწერლობა ერთსულოვანი რომ იყო ყოველთვის, თვით უსაშინელესი ჟამიანობის დროსაცა, ოღონდ ქართული მწერლობა არასოდეს არ ეთანხმებოდა მწერალთა კავშირის პოლიტიკას, ყოველთვის მის წინააღმდეგ იყო მომართული.

ქართული მწერლობა და მწერალთა კავშირი დაპირისპირებული ძალებია.

მწერალთა კავშირი შეიქმნა როგორც იარაღი პოლიტიკური-იდეოლოგიური ძალადობისა მწერალთა მიმართ. ამ დანიშნულებას ის წარმატებით ასრულებდა. ბიუროკრატულ-პრივილეგირებულ-ნომენკლატურული კასტა მწერალთა კავშირისა არაფერს არ დაჰრიდებია, რათა ჩაეხშო ყოველგვარი გამოვლინება რეალისტურისა და პატრიოტულისა ქართულ მწერლობაში, ჩაეხშო ყოველგვარი სტილური, მხატვრული თავისებურებანი, მოეხდინა სრული ნიველირება, მოეხდინა სრული ნიველირება ლიტერატურისა, მწერლობისა, ექცია ერთობლივ მეხოტბედ უმკაცრესი რეჟიმისა. ეს იყო მისი ფუნქცია, ეს იყო მისი არსებობის გამართლება.

ეს ფუნქცია დაჰკარგა.

კასტა დარჩა.

დარჩა და თავის ასპარეზს ეძიებს, მოქმედება უნდა, გამართლება უნდა თავისი არსებობისა. სალიტერატურო საკადრო საკითხებში ერევა, მაგრამ ზემდგომი ორგანოები ზოგჯერ დამაჯერებლად არ მიიჩნევენ მის რეკომენდაციებსა; ლიტფონდის ფუნქციები შეითავსა: ბინებს ანაწილებს, ავტომანქანებს ანაწილებს, ალბათ, ცემენტისა და პარკეტის განაწილებასაც მალე შეუდგება, გაანაწილებს საპონსაცა, ლილასაცა, მაგრამ ესეც მცირეა და მეტად მცირეა იმ გაქანებასთან შედარებით, იმ უფლებებთან შედარებით, რაც წინარე ათწლეულებში გააჩნდა. გაქანება შერჩა, ასპარეზი აღარა და ამოტივტივდა განყოფილებები, მისიონები, რაც შეიძლება მრავლადა და მრავლადა, როგორც ინტერვიუში გამჟღავნებული, რითაც ინსპექტირებისა და კონტროლის უფლებებს გაიფართოვებს მწერალთა კავშირი და ძალას მოიკრებს, როგორც ხელმძღვანელი დაწესებულება, სახელმწიფო დაწესებულება.

აი, აქ არის დამარხული ძაღლის თავი, თუ უკადრავად არ ვიყვე, როგორც იტყვიან.

და ყველაფერი ეს, თითქოს ეროვნული აღორძინების ინტერესებით არის ნაკარნახევი. პათოსი ეს არის ინტერვიუსი, თავიდან ბოლომდის ეს მოტივი გასდევს.

არა, მე არ ვამტკიცებ, თითქოს ამას განგებ სჩადიოდეთ, არა, არა, ეს თავისთავად, უშუალოდ, ინერციით მოედინება, სხვა რომ ამჟამად თქვენს ადგილას იყოს, ისიც ამას ჩაიდენს. მწერალთა კავშირი ნაწილია ერთი მთლიანი სისტემისა, რომელსაც არ ძალუძს თავისი თავი უარჰყოს და ახალ-ახალ ამოცანებსა ჰსახავს წინააღმდეგობიდან თავდასაღწევადა. თქვენი ახალი ამოცანები მისიონებია და ჯერჯერობით ამითი გინდათ შეინარჩუნოთ ეგ თქვენი ბიუროკრატულ-პრივილეგირებულ-ნომენკლატურული კასტა, ჯერჯერობით ეგება კიდევაც მოახერხოთ. მაგრამ გარდუვალობა მაინც გარდუვალობაა, რას იზამთ, გარდუვალობაა.

არ ვიცი, აეჭვებს თუ არა ეს თქვენი წამოწყება ზემდგომ ორგანოებს, ოღონდ ის მაინც ვიცი, და ღრმადაც ვარ დარწმუნებული, თუ ყველაფერი მართლა ისე განვითარდა, როგორც დაიწყო, თუ რესპუბლიკამ მართლაც მიაღწია ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ანთუ მანამდისაც, თუ ერთიან, მთლიან სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა, მაშინ ხელისუფლება ხელს აიღებს მწერალთა კავშირის დაფინანსებაზე, მწერალთა კავშირის მეურვეობაზე ხელს აიღებს და ბიუროკრატიულ-პრივილეგირებულ-ნომენკლატურულ კასტასაც დასაყრდენი გამოეცლება. და მწერალიც განთავისუფლდება ამ დამატებითი სიძნელისა და სიმძიმისაგან, განთავისუფლდება და სრულ დამოუკიდებლობას მოიპოვებს, რაც ესოდენ აუცილებელია ჭეშმარიტი მწერლობისათვის, მართლაც თავისი ერის მსახური მწერლობისათვის.

თუ მაინც დასჭირდება მწერლობას გაერთიანება თუ გაერთიანებანი, ეს მისი საქმეა და ეს საზოგადოებრივ საწყისებზე მოხდება. მწერალთა სასახლეში ხელფასიანნი იქნებიან მხოლოდ კომენდანტი ხასახლისა, მებაღე-მეეზოვე, დარაჯი და დამლაგებლები. სხვასა თუ სხვებს, თუ აირჩევენ, საზოგადოებრივ საწყისებზე აირჩევენ რაღა თქმა უნდა. ისინიც, ალბათ იმორიგევებენ დიდი-დიდი თითო წლითა. მეტხანსაც არავინ გაჩერდება საზოგადოებრივ საწყისებზე. აღარც იქნება ის ინტრიგები, ის მშრალი სისხლისღვრა, რაც რომ მოსდევს სასახლის გადატრიალებებს და ამ ბოლო ხანებში ასე მოგვიმრავლდა. არა, ასეთი აღარაფერი აღარ იქნება. იქნება სულ სხვა, ის იქნება: მიეცი ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებასო.

თქვენი ოცნებები, როგორც ბრძანებთ, ე. ი. მისიონები, განყოფილებები ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებშიო, ფუჭი წამოწყებაა, დაგვიანებულია, ავადმოსაგონარი გაწევაა მწერლობაში, პროლეტკულტის დროინდელი ღონისძიებაა, რასაც მოჰყვებოდა სრული კრახი ქართული ლიტერატურისა, მწერალთა კავშირისადმი დაპირისპირებულ მწერლობას რომ არ გადაერჩინა. მადლობა ღმერთსა, დამთავრდა დრო ასეთი ექსპერიმენტებისა, მადლობა ღმერთსა, რაღაც დაისახა, რაღაც ისეთი, მწერლობასაც რომ შეიძლება იმედი ჩაესახოს. კარგი იქნება, თუ თქვენც მიჰყვებით ამ გზასა, კარგი იქნება, თუ ცდუნებებს დაეხსნებით. თუმცა, თქვენი ნებაა, სულერთია: ბიუროკრატიზმის საშუალებები აღიკვეთება, პრივილეგიებს ვეღარ შეინარჩუნებთ თანამდებობებითა, ნომენკლატურები აღიკვეთება ლიტერატურაში. ესაა სრული სამეურნეო ანგარიშიანობის შედეგი, ესაა ეკონომიკური დამოუკიდებლობა რესპუბლიკისა.

ამასაც გეტყვით: თუ დაკვირვებიხართ, ამდენი ხნის დაჟინებულმა მცდელობამ, ყველაფრის ნიველირებისათვის, ტოტალურმა მცდელობამ, ის ნაყოფი მაინც გამოიღო, რომ პროვინციის ინტელიგენცია არაფრით არ ჩამოუვარდება დედაქალაქის ინტელიგენციას. თქვენი მისიონები ამ მხრით იქ ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენენ.

გამიგრძელდა.

შეიძლება არც გამოვაქვეყნო ეს წერილი, თუმცა, ღია წერილი ჰქვიან, შეიძლება არც გამოგიგზავნოთ, იმის შიშით, რომ ვინ უწყის განაწყენდეთ. მე ეს არ მინდა. არც არავისი განაწყენება არა მსურს. ახლა ისეთი დროა, ყველას უნდა გაუფრთხილდეს ადამიანი. მე მხოლოდ გამოვთქვი შიში იმ პათოსის მიმართ, რასაც თქვენი ინტერვიუ შეიცავს. მხოლოდ ეს გამოვთქვი. მაგრამ კაცია და გუნებაო, — ვინ როგორ მიიღებს. ოღონდ მაინც მანუგეშებს ერთი გარემოება: „კომუნისტის" ა. წ. 29 აგვისტოს ნომერში, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ თქვენს ინტერვიუს მეტად საინტერესო საუბარი უწოდა. ეს შეფასება თქვენთვის იმდენად მნიშვნელოვანი იქნება, რომ ჩემს შენიშვნებს ალბათ, არც არაფრად ჩააგდებთ. მაინც ვიფიქრებ, გამოვაქვეყნო თუ არა, გამოგიგზავნოთ თუ არა.

სხვაფრივ კარგად ბრძანდებოდეთ.

გჯეროდეთ ჩემი სიწრფელისა და კეთილი სურვილებისა თქვენდამი,

პატივისცემით,
**ოთარ ჩხეიძე**

ყელქცეული, 1. IX. 89.

**P.S.** წერილი დაგვიანებით იბეჭდება. „საქართველოშიც" დაყოვნდა. მანამდე სამმა რედაქციამ დამიბრუნა. მიზეზი არ მიკითხავს. ალბათ იციან: მწერალთა კავშირში განსხვავებულ აზრს რომ ვერ ითმენენ და ამას მოერიდნენ. თუმცა ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია. შეგვიანდა ერთი სიტყვითა. ამასობაში ბევრი რამ უკეთ გამოიკვეთა და შეიძლებოდა ეს წერილი სხვაგვარადაც დაწერილიყო: ზოგი რამ უფრო გამკვეთრებულიყო, ზოგი რამისათვის გვერდი ამევლო. მაგრამ აქ წამოჭრილი ძირითადი საკითხი, სახელდობრ ის რომ: მწერალთა კავშირის ახლანდელი ვითარება ძირეულ გარდაქმნას მოითხოვს, დღეს უკვე იმდენად აქტუალურია, აუცილებელი და გარდაუვალია, — წერილში რაიმე ცვლილების შეტანა საჭიროდ აღარ მივიჩნიე, იბეჭდება ისე, როგორც დაიწერა თავის დროსა.

დასასრული. დასაწყისი იხ. №9.

# უნდა შეიცნოს და უარყოს

9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის მეორე დღეს, 10 აპრილს, მწერალთა კავშირში ნაუცბადევად ჩატარებულ კრებაზე გურამ პეტრიაშვილმა სამართლიანად განაცხადა, რომ ქართველ მწერლებს ამ ტრაგედიის შემდეგ აღარა აქვთ მორალური უფლება იმისა, რომ ითვლებოდნენ სკკპ წევრებად. ასეთი განცხადების შემდეგ მხოლოდ რამდენიმე მწერალს აღმოაჩნდა საიმისო გამბედაობა, რომ პარტბილეთი დაედო და გასულიყო სკკპ რიგებიდან.

ჯერ არც ერთი მწერალი არ შესულა პარტიაში მამულის სიყვარულის გამო. ეს ნაბიჯი ყოველთვის ნაკარნახევი იყო კარიერისტული მიზნებით. მწერალი, რომელიც სკკპ წევრია და, ამავე დროს, დღევანდელ ეროვნულ მოძრაობასაც ემხიანება, გაორებული მწერალია, ხოლო ამჟამად, როდესაც საქართველოს ასე უჭირს, ნებისმიერი პროფესიის ადამიანის გაორება აღიქმება, როგორც ერის ღალატი; ამიტომაც რაც უფრო მეტი მწერალი (და არა მარტო მწერალი) დატოვებს სკკპ რიგებს, ეროვნული მოძრაობა მით უფრო დაიწმინდება და გაძლიერდება.

უმჯობესია, პარტბილეთი მოიშორო იმპერიის დაბზარული კედლების ჩრდილში, ვიდრე ამავე კედლის ნანგრევებზე დააგდო ბოლოს, როდესაც ასეთი მოქმედება ვაჟკაცობად აღარ ჩაითვლება.

რამდენიმე მწერალი გავიდა პარტიიდან; მათ, ალბათ, გზადაგზა სხვებიც შეუერთდებიან, მაგრამ თქმა იმისა, რომ ყოველი მათგანი მთელი არსებით უფლისა და მამულის მხარეზე დადგა და სატანა უარყო, ვულუბრყვილობა იქნებოდა. პარტბილეთის დაგდება ადვილია, ცხოვრების წესის შეცვლაა ძნელი! შეიძლება, ზოგის მხრიდან პარტიიდან გასვლა სიტუაციით ნაკარნახევი მორიგი თამაში იყოს, რომელიც უთუოდ გაგვახსენებს იმ ადამიანებსაც, კომკავშირულ თემებზე დაწერილი ნაწარმოებებით რომ მოვიდნენ მწერლობაში, დღეს კი ქამელეონივით იცვლის ფერს და ეროვნულ მოძრაობასაც პირადი მიზნების გამო მიეტმასნენ.

ან იქით, ან აქეთ!

პოზიცია — „იქითაც და აქეთაც" — ეშმაკისეულია!

გაორებული გული ღალატის ბუდეა!

ეროვნულმა მოძრაობამ უნდა შეიცნოს და უარყოს გაორებული ადამიანები.

**ვაჟა ხორნაული**

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ნოდარ ჭითანავას

**უპირველეს** ყოვლისა, ბოდიშს გიხდით იმ დროის დაკარგვის გამო, რომელიც უნდა მოახმაროთ ამ წერილის წაკითხვას და შემდეგ ვუხდი ბოდიშს ჩემს ერს, რომ მისი მთავრობის ხელმძღვანელის ყურადღება გადამაქვს ისეთი შედარებით უმნიშვნელო, ახალგაზრდა და არატრაციდიულ დარგზე, როგორიცაა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ საქართველოში ქვანახშირის განვითარების ისტორია, როგორც გასაბჭოებამდე, აგრეთვე გასაბჭოების შემდეგაც. ამ ისტორიის მოკლე მიმოხილვისას ,თვალნათლივ ჩანს სახელმწიფოებრივი ზრუნვაც და უყურადღებობაც, გულისყურიანი მიდგომაც და ამბიციური გამოხტომებიც, მეცნიერული კვლევაც და მათი უგულვებელყოფაც, მუშაკთა მაღალკვალიფიციურობაცა და ატროფირებაც.

დღევანდელმა შექმნილმა პოლიტიკურმა, სოციალურმა, ეკონომიკურმა, და ფინანსურმა მდგომარეობამ საკმაოდ კარგად წარმოაჩინა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში დაშვებული შეცდომები და მიგვიყვანა იმ ჩიხში, რომელსაც უნდა მოჰყვეს რადიკალური რეფორმები, ან დავიშლებით მანამდე, ვიდრე საქართველოს მთავრობა არ ჩავარდება ისეთივე ექსტრემალურ მდგომარეობაში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მხრივ, როგორშიც დღეს ჩავარდნილია ლიტვის რესპუბლიკა. ჩვენზე კარგად მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი სათბობ-ენერგეტიკული რესურსებიდან ყველაზე დასაბუთებული და მდგრადი მარაგი ქვანახშირს აქვს, ხოლო ამიერკავკასიაში იგი მხოლოდ საქართველოშია, უმთავრესად დასავლეთ საქართველოში (აღმოსავლეთით ახალციხის რაიონშია მხოლოდ 71 მლ. ტონა). აქვე აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის სამხრეთელ მეზობლებს იგი საკმაოდ ცოტა აქვთ და ისიც მდარე ხარისხის.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე საჭიროდ ვთვლით გაცნობოთ შემდეგი:

1. ყველა ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საქართველოში ქვანახშირის მრეწველობის დაკნინება, ანტიეროვნულია და იგი ეწინააღმდეგება ქართველი ერის ინტერესებს ყველა პერიოდისათვის.

2. საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ უნდა შექმნას სპეციალისტთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ნახშირის ფასწარმოშობის საფუძვლებს, დაადგენს მის ნამდვილ ფასს და საჭიროების შემთხვევაში შემოგთავაზებთ გასაყიდ ფასს.

3. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა წიაღისეული საბადო, რომელიც რეწვის პროცესშია, გამოეყოს უმოკლეს ვადაში საკავშირო სამინისტროებს, გაერთიანდეს და დამოუკიდებლად შევიდეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში, როგორც სამთამადნო მრეწველობის სტრუქტურული ერთეული.

4. მიიღწეს საკავშირო მთავრობაში საბადოებიდან ამოღებული მარაგი წიაღისეულის ექსპორტირების საკითხის დამოუკიდებლობა და მისი განსაზღვრა დამოუკიდებელი იყოს მთლიანად საქართველოს მთავრობაზე (ესეც ტანკები ხომ არაა?)

5. დაჩქარდეს პირველ რიგში ყველა ფენობრივი საბადოს დაძიება პროგნოზულ მოედანზე.

6. შემუშავდეს მარგი წიაღისეულის დამუშავების ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები და უმოკლეს ვადაში დაინერგოს ისინი წარმოებებში.

●

წერილს ვერ ვამთავრებ, თუ არ შევეხე მინისტრთა საბჭოს №936 გ განკარგულებას, თარიღით 26 ნოემბერი 1989 წელი, რომლის თანახმადაც დაკმაყოფილდა ქ. ტყიბულის მოთხოვნები და გაერთიანება „საქნახშირი“ გადაიტანეთ ქ. ქუთაისიდან ქ. ტყიბულში. აღნიშნული დოკუმენტი შეიქმნა იმ პერიოდში, როდესაც კრიზისმა კულმინაციას მიაღწია სამაჩაბლოში.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, წარჩინებული და განსწავლული ექსპერტების დაჟინებული რჩევისა, კომისიების საწინააღმდეგო დასკვნებისა და ბოლო დროს თვით მთავრობის მიერ აღიარებისა — „განკარგულება ნაჩქარევად იყო გამოცემული“ — გაერთიანება „საქნახშირი“ 10. 05. 90 წ. გადავიდა ქ.ქუთაისიდან ქ. ტყიბულში. იურიდიულმა დოკუმენტმა დაგვაყენა ფაქტის წინაშეც. აქედან მოყოლებული იწყება საქართველოში ნახშირის მრეწველობის ნგრევა.

თუ ამ საკითხს თვით მთავრობამ არ მიხედა დაუყოვნებლივ, შეიძლება მას მოჰყვეს ყოვლად გაუთვალისწინებელი, არასასურველი და ქართველი ერისათვის საკმაოდ დამამცირებელი შედეგები.

**სამთო ინჟინერი**
**ზაზა ხელაძე**
**ქუთაისი, 16 მაისი, 1990 წ.**

## ღია წერილის მინაწერი

როდესაც ტყიბულში დაიწყო ეს საგაფიცვო მოძრაობა, საქართველოს სახალხო ფრონტი იძულებული გახდა და ვალდებულიც იყო, ჩარეულიყო ამ საქმეში. პირველი დღეებიდანვე გაირკვა, რომ ეს, ასე ვთქვათ, „მოძრაობა“ ინსპირირებული იყო საქართველოს ეროვნული მოძრაობისა და საერთოდ საქართველოსადმი მტრულად განწყობილ ძალთა მიერ. თავად განსაჯეთ: ყოველი „აფეთქება“ „ემთხვევა“ ეროვნული მოძრაობის მიერ ჩატარებულ რომელსამე დიდმნიშვნელოვან აქციას. მაგალითად, პირველი გამოსვლა მოხდა ცხრა აპრილის ტრაგედიის შემდეგ, დაახლოებით (თარიღი ზუსტად არ მახსოვს) ერთი კვირის შემდეგ. მოთხოვნა იყო ერთადერთი — „არა გვაქვს ძეხვი“, „მოგვეცით ძეხვი“. იგივე იყო ივლისის მეორე ნახევარში, აფხაზეთში მომხდარი ანტიქართული აქციების შემდეგ. თავისთავად ასეთი მოთხოვნის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს, ყველა მშრომელ ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, იბრძოლოს თავისი უფლებებისათვის, იბრძოლოს თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ მაშინ, როდესაც მთელი ერი შემართულია ყოფნა-არყოფნის საკითხის გადასაჭრელად, გვერწმუნეთ, „ძეხვის პრობლემა“, ცოტა არ იყოს, მკრეხელურია.

მესამე, გაცილებით სერიოზული გამოსვლა კვლავ „დაემთხვა“ ამჯერად სამაჩაბლოში მომხდარ ანტიქართულ აქციებს, კერძოდ, ტყიბულში „გაფიცვა“ დაიწყო 23 ნოემბერს; ზუსტად იმ დღეს, როდესაც ქართული ეროვნული მოძრაობა გაემგზავრა ცხინვალში მშვიდობიანი მიტინგის ჩასატარებლად. თუ როგორ განვითარდა სამაჩაბლოში შემდგომი მოვლენები, ეს ყველას კარგად მოეხსენება. ამ დროს კი ტყიბულელი მეშახტეები იფიცებიან თავიანთი მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. გამოჩნდა ახალი მოთხოვნაც, რომ გაერთიანება „საქნახშირის“ „კანტორა“ გადაეტანათ ქუთაისიდან ტყიბულში. საქართველოს მთავრობა „იძულებული ხდება“, გასცეს განკარგულება ამ „კანტორის“ გადატანის თაობაზე. ბუნებრივია, იბადება კითხვა, რა შუაშია აქ „კანტორა“. საქმე ისაა, რომ გაერთიანება „საქნახშირი“ საკავშირო სამინისტროზე დაქვემდებარებული ორგანიზაციაა და ყოველწლიურად მოსკოვიდან იღებს დოტაციას 60 მილიონი მანეთის ოდენობით და ე. წ. „საგაფიცვო კომიტეტის“ მეთაურებმა დაარწმუნეს მეშახტეები, თითქოს გაერთიანების ტყიბულში გადატანის შემთხვევაში ეს 60 მილიონი მოხმარდება ტყიბულს და ყველა სოციალური პრობლემა ერთი ხელის მოსმით გადაწყდება. მეშახტეები წამოეგნენ ამ პროვოკაციაზე და იმ დროს, როდესაც მთელი საქართველოს ყურადღება მიპყრობილი იყო სამაჩაბლოსაკენ, ტყიბულელი მეშახტეები კვლავ „ძეხვის პრობლემით“ იყვნენ დაკავებულნი. ასეთ ვითარებაში დაიწერა ზემოთაღნიშნული „განკარგულება“ გაერთიანება „საქნახშირის“ ქუთაისიდან ტყიბულში გადატანის თაობაზე, რომელიც, ბუნებრივია, საფუძვლად დაედო ტყიბულელთა შემდგომ მოთხოვნებს, რომ თუ განკარგულება დაწერილია, უნდა შესრულდეს კიდეც.

განკარგულების დაწერის შემდეგ საქართველოს სახალხო ფრონტთან ერთად საქმეში ჩაერივნენ მეცნიერები, ამ საქმის სპეციალისტები, ისეთები, როგორიცაა ბატონი არჩილ ძიძიგური, ბატონი გიორგი დემეტრაძე და სხვები. აზრი ერთი იყო: „საქნახშირის“ ქუთაისიდან ტყიბულში გადატანა დამღუპველია საქართველოს ქვანახშირის მრეწველობისათვის. ეს აზრი, რა თქმა უნდა, მოხსენდა საქართველოს მთავრობას, მაგრამ საქართველოს მთავრობა უძლური აღმოჩნდა (თუ უფრო მეტი არა) სალი აზრისათვის განვითარება მიეცა და აღეკვეთა ტყიბულის ე. წ. „საგაფიცვო კომიტეტის“ პროვოკაციული ქმედებანი. ვინ არიან ამ „საგაფიცვო კომიტეტის“ სულისჩამდგმელნი და წარმმართველნი?.. ესენი გახლავთ ვინმე ძმები ჭანკვეტაძეები, რომლებიც მას შემდეგ, რაც ამხილეს, როგორც ბნელ ძალთა მითითებების აღმასრულებელნი, „გადადგნენ“ „საგაფიცვო კომიტეტის“ ხელმძღვანელობიდან და ხელმძღვანელობა დაეკისრა ვინმე ფორჩხიძეს, რომელიც არანაკლებ ენერგიული აღმასრულებელი აღმოჩნდა. ყველაფერ ამ ავანტიურის „იდეოლოგად“ მოგვევლინა ტყიბულის საქალაქო გაზეთის რედაქტორი ვინმე ილია ბარბაქაძე, რომელმაც ეს გაზეთი ყველა ამ ავანტიურის ტრიბუნად აქცია. საქმე იქამდეც მივიდა, რომ იმ დროს, როდესაც ქართული ეროვნული მოძრაობა დაკავებულია ერის უმნიშვნელოვანეს საჭირბოროტო, სასიცოცხლო პრობლემებით, თბილისში, მთავრობის სახლის წინ ეწყობა ტყიბულელ მეშახტეთა „აქცია“ ერთი მოთხოვნით— „რატომ არ სრულდება 26 ნოემბრის განკარგულება“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მთავრობა ხელმძღვანელობს დევიზით „[illegible]ონდ ნუ იქნება ბუნტი“ [illegible] ბოლოოდ წერტილს უსვამს პრობლემას, გაერთიანება „საქნახშირი“ სასწრაფოდ გადააქვს ტყიბულში.

კვლავ მინდა გავიმეორო, ჩვენ ტყიბულელ მეშახტეებთან არაფერი გვაქვს საპრეტენზიო. მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, იბრძოლონ თავიანთი სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის, მაგრამ „საქნახშირის“ ქუთაისიდან ტყიბულში გადატანა მათ არაფერს მისცემს და ამაში ისინი მალე დარწმუნდებიან. ისინი დღეს უბრალოდ მოტყუებულები არიან იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ბნელი ძალების კარნახით მოქმედებენ და ჰგონიათ, მოსკოვის მიერ გამოყოფილი დოტაცია მათაც მისცემთ რაიმე სარგებლობას, მაგრამ ყველას მოეხსენება, მოსკოვი უანგაროდ არ არიგებს მილიონებს. გარდა ამისა, ეკონომიკური დამოუკიდებლობის (აღარ ვლაპარაკობთ პოლიტიკურზე) პირობებში საკავშირო დაქვემდებარებული ორგანიზაციები დაკარგავს ყველა ამ „მოწყალებას“ და მაშინ რას იზამენ ეს „გაფიცვის ხელმძღვანელები“, რა პასუხს გასცემენ თავისივე მოტყუებულ მეშახტეებს, ძნელი სათქმელია. პასუხი კი მათ აუცილებლად მოეთხოვებათ და არა მარტო მეშახტეებისაგან. შესაძლოა, მინაწერი უფრო ვრცელი აღმოჩნდა თვით ღია წერილთან შედარებით, მაგრამ არ შემეძლო ბატონ ზაზა ხელაძის ასეთი მოკრძალებული წერილი „ბედის ანაბარა“ დამეტოვებინა, მით უფრო, რომ მთელი ამ მოვლენების საქმის კურსში ვიყავი, თუმცა ავანტიურა უფრო ქმედითი აღმოჩნდა და ეს, შესაძლოა, საბედისწერო შეცდომა დაშვებულ იქნა.

ჩემი ამ მინაწერის მიზანია, ბატონი ნოდარ ჭითანავა ყურადღებით მოეკიდოს ღია წერილს, რათა შემდგომშიც აღარ იქნეს უგულვებელყოფილი მეცნიერთა და სპეციალისტთა აზრები, რამაც შესაძლოა საბოლოოდ დაღუპოს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა, უფრო მეტიც, საერთოდ, სამთამადნო მრეწველობა, რათა შესაძლო ენერგეტიკული კრიზისის შემთხვევაში საქართველო არ აღმოჩნდეს გამოუვალ მდგომარეობაში.

**ავთანდილ იმნაძე,**
**საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.**

**მინაწერის მინაწერი: ბ-ნ ავთანდილ იმნაძე აქაც, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, მაქსიმალური პრინციპულობით ეკიდება საკითხს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი აზრი მთლიანობაში სახალხო ფრონტის აზრიცაა. საკითხი იმდენად მძიმეა (პირველ ყოვლისა, მორალურად), რომ მასზე ცალსახა და მკაფიო აზრის შემუშავება ძალიან ძნელია.**

# ბოლო მოეღოს მარქსიზმ-ლენინიზმს

**მაისში ხარაგოულში ჩატარდა ერთობისა და აღორძინების დღის დაარსებისადმი მიძღვნილი დღესასწაული, რომლის ინიციატორი იყო მარგვეთის ეპარქიის ეპისკოპოსი ქრისტეფორე. აღდგა სალოცავი და მოხდა ამ სახლის კურთხევა, რომელშიც წლების მანძილზე სამხედრო კომისარიატს ჰქონდა ბინა. ჩატარდა მიტინგი, რომელზედაც ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს და სიტყვებით გამოვიდნენ ქართული ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები. აქვე იყო ქართველი ოფიცერი, პოლკოვნიკი ტრისტან ლეჟავა. გთავაზობთ სიტყვას, რომელიც ბატონ ტრისტანს ჰქონდა მომზადებული ამ დღისათვის და არ მიეცა საშუალება მიტინგზე მისი წარმოთქმისა.**

ჩემს ცხოვრებაში დღეს უმნიშვნელოვანესი დღეა! უმნიშვნელოვანესია იმიტომ, რომ საშუალება მომეცა მოგესალმოთ ერთობისა და აღორძინების დაარსების დღეს. დადგა დრო, როცა, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

ბევრს შეიძლება საეჭვოდ მოეჩვენოს ჩემი აქ ყოფნა და გამოსვლა. ამიტომ მინდა, ამისთვის ნუ გამკიცხავთ, მოკლედ გაგიზიაროთ ჩემი აზრი.

საერთოდ ცნობილია, რომ უშეცდომო ადამიანი არ არსებობს, ყველას აქვს შეცდომა, დიდი ან პატარა, მეც შევცდი ცხოვრებაში, 33 წელი ვიყავი პარტიის წევრი, პირნათლად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას და არასოდეს შემირცხვენია ქართველი კაცის სახელი. მაგრამ მაინც დამნაშავედ ვგრძნობ თავს და იმედია, ამ შეცდომას მაპატიებთ, მით უმეტეს, რომ, ჯერ ერთი, თვითონ მივხვდი მას და მეორე — ჯერ კიდევ შემწევს ძალა, ვემსახურო არა პარტიას, არამედ ჩემს ხალხს, ჩემს ერს, საქართველოს.

1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი კვირის ამბებმა მიმიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ კომუნისტური პარტია არა მარტო წითელ მანდატს და წითელ დროშებს ფლობს, არამედ წითელ არმიას, და ეს ყველაფერი წითელი, ხალხის სისხლია. პარტიას ხელები და გული, გონება და აზრი ხალხის სისხლით აქვს გასვრილი. 89 წლის 10 აპრილს დილის 10 საათზე ჩავაბარე პარტიის ბილეთი და იმ დღიდან, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეას.

არ დაგიმალავთ იმასაც, რომ 9 აპრილმა ყველაზე ერთნაირად არ იმოქმედა. ჩემად გეტყვით, რომ ძნელია, შეუძლებელია თქვენ გამიგოთ, როგორ განვიცადე იმ დღეებში, მთავრობის სახლის წინ, რუსთაველის გამზირზე, როგორც უშუალო მონაწილემ და იქ მყოფმა. ყველასთვის გასაგები გახდა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, საჭიროა ვეძებოთ გამოსავალი. ამიტომ ჩამოყალიბდა ასობით პარტია, ჯგუფი, ასოციაცია, გაერთიანება... ყველას თავისი წესდება და პროგრამა აქვს, ერთმანეთისგან განსხვავებული. ზოგს ეს აშინებს, მე მიხარია, რომ ვართ განსხვავებულები და თავი დავაღწიეთ კომუნისტურ ერთაზროვნებას. მე მიხარია, რომ ეს ასობით პარტია, ჯგუფი, ასოციაცია, გაერთიანება დგას ერთ პლატფორმაზე, რასაც ჰქვია თავისუფლება. მე მჯერა, რომ თავისუფლების ძებნაშია ჩვენი აღორძინება.

მივესალმები მარგვეთის ეპისკოპოსის, ხარაგოულის რაიონის საზოგადოებრიობის, მისი ეროვნული მოძრაობის ინიციატივას. მოვალედ ვთვლი თავს, ვიყო იქ, სადაც ჩემს ხალხს, ჩემს ერს, ჩემს მამულს გამოვადგები. 35 წელი, ცხოვრების ნახევარი, ჯარში გავატარე, მაგრამ ერს ვერ ვემსახურე. დღეს თუ ჩემი გამოცდილება, ჩემი ცოდნა სამხედრო საქმისა, თქვენი აზრით, ეროვნულ მოძრაობას გამოადგება, მზად ვარ, ვიყო თქვენს გვერდით.

თუ უფლებას მომცემთ, რამდენიმე სიტყვით გაგიზიარებთ ჩემს სატკივარს, გეტყვით, რა მაწუხებს.

პირველყოვლისა მაწუხებს ის, რომ 70 წლის განმავლობაში თითქოს რაღაცას ვაშენებდით, მაგრამ გამოვიდა, რომ კი არ ვაშენებდით, ვანგრევდით. დაინგრა სოფელი, განადგურდა მიწა, ბუნება, მიწის წიაღი, მოიწამლა წყალი და ჰაერი.

ყველა ტომი, ვინც ჩვენამდე მოაღწია, ჩვენი ერი ნახა, ყველას მოეწონა მისი მიწა, წყალი, რაც მთავარია, მისი სტ[illegible]მოყვარეობა. უკან არ წასულა, აქ დარჩა. ქართველმა ერმა მიიღო ყველა, გაუნაწილა მიწა, წყალი, ტყე და ბუნება, გაიხადა ძმად და მეგობრად, მაგრამ მომთაბარე, მოხეტიალე ტომები უგულოები აღმოჩნდნენ, მათ გვერდის ნილაბი აჰხადა ისტორიულმა მომენტმა, რასაც დღეს გარდაქმნა ჰქვია, სინამდვილეში კი აქ სხვა რამ ძევს. ეს არის არა გარდაქმნა, არამედ ყველა ერის გადაშენება. ადრე, ვ. ი. ლენინის და სტალინის დროს, ამას ერთა შერწყმას და საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებას უწოდებდნენ, დღეს კი ზუსტი თარგმანით „პერესტროიკას“ გადაშენება ჰქვია, თორემ გავიდა 5 წელი და ვინ მეტყვის, გარდაქმნის ამ ხუთმა წელმა რა შეცვალა საბჭოთა იმპერიაში, ჯერ არაფერი და ნურც დაელოდებით, რომ რამეს შეცვლის.

ჩვენი ვალია გავერთიანდეთ და განვიწმინდოთ.

ამას ჰირდება შრომა, შრომა დაუღალავი, ბრძოლა მედგარი და შეუპოვარი, ამას ჰირდება ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა, ამას ჰირდება ქრისტეს გზაზე დგომა და ყოვლის მიტევება. მოდით, ეს მიტევება გამოვიჩინოთ დღეს იმ ჩვენი ძმების მიმართ, რომლებიც შეცდნენ და კიდევ ცდებიან სატანის ზემოქმედებით. მოდით, ვუთხრათ მათ, რომ მათაც შეუძლიათ განწმენდა სატანური იდეებისაგან და ერის, ხალხის საქმის კეთება.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

მერაბზე ბევრი დაიწერა. ჰყვებოდნენ მის ვაჟკაცურ ბუნებაზე, გამძლეობაზე, მის როლზე ქართულ ეროვნულ მოძრაობაში. ეს ყველაფერი იყო. და იყო კიდევ მპატიებელი, მიმტევებელი კაცი, რომელსაც შემორჩა ბავშვის ალალი და სუფთა სული. ციხეებისა და ბანაკების ჯოჯოხეთიდან ის ისეთივე წრფელი და ადამიანური დაბრუნდა, როგორიც წავიდა.

ანგარსკის ბანაკში მერაბის გვერდით ათასი ჯურის ბოროტმოქმედი იხდიდა სასჯელს: მკვლელი, მძარცველი, ქურდი. მერაბს თითოეული მათგანის მიმართ საოცარი სიბრალულის გრძნობა ჰქონდა, თითოეულში ადამიანურობის ნაპერწკალს ეძებდა და მის გაღვივებას ცდილობდა. ყოველი პაემანის შემდეგ გამომატანდა მისამართებს. ეს ის პატიმრებია, მეტყოდა, რომელთაც არსაიდან ამანათი არ მოსდით, ძალიან გთხოვ, გამოუგზავნე ამანათი, გაიხარებენ, აქ, ბანაკში, ეს სიხარული ძალზე ძვირად ფასობსო. პატიმრები ღრმა პატივისცემით და სიყვარულით პასუხობდნენ მერაბს.

გარეგნულად კუშტი და მკაცრი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. რომ გაიღიმებდა, მიხვდებოდი, რა ნაზი გულის პატრონი იყო.

ათი წლის მანძილზე ვღებულობდი მის წერილებს, მხნეს, მომავლის იმედით სავსეს. ერთხელ მივწერე, მერაბ, დაიწუწუნე ერთხელ მაინც, ეს ხომ გულს მოგიოხებს-მეთქი. პასუხად მომწერა, მე თავისუფალი ადამიანი ვარ და ამ კედლებშიც თავისუფალ ადამიანად ვგრძნობ თავსო.

მერაბმა საოცარი მეგობრობა იცოდა. ზვიადის და მერაბის მეგობრობა, ალბათ, ქართულ თქმულებებს და ლეგენდებს გაჰყვება მომავალში. მახსოვს, ზვიადის დისერტაციის დაცვა — მართლა შესანიშნავი დაცვა იყო. კათედრასთან იდგა ლამაზი ქართველი ინტელიგენტი, საუბრობდა დახვეწილად, რაფინირებულად. ეს იყო მეცნიერული აზრის, ერუდიციის, ინტელექტის ზეიმი. დარბაზში კი უბედნიერესი კაცი მერაბ კოსტავა იყო...

1983 წელს მერაბის მდგომარეობა კრიტიკული იყო. მერაბმა შიმშილობა გამოაცხადა. ბანაკის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა მისი შიმშილობისათვის ყურადღება არ მიექცია. ეს იყო ჩვეულებრივი რეციდივისტთა ბანაკი, პოლიტიკური პატიმარი აქ მხოლოდ მერაბი იყო და შიმშილობასაც არავინ აცხადებდა. მერაბი კარცერში მოათავსეს და იქ მიატოვეს. მერაბის ციმბირელმა მეგობარმა შეგვატყობინა მერაბის მძიმე მდგომარეობის შესახებ. დახმარებისათვის ზვიადს მივმართეთ. ზვიადი სასწრაფოდ დაუკავშირდა ჟორჟ მარშეს, მარშემ მიტერანს სთხოვა დახმარება, მიტერანი ანდროპოვს დაუკავშირდა, მერაბი საავადმყოფოში გადაიყვანეს და სიკვდილს გადაარჩინეს. როცა ნახვის ნება მომცეს და მოვუყევი რაც მოხდა, თვალები გაუბრწყინდა. ეს, ცხადია, სიკვდილს გადარჩენის სიხარული არ იყო. ეს მეგობრის გვერდზე დგომით გამოწვეული ადამიანური სიხარული იყო. ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა განუწყვეტლივ ეხმაურებოდა მერაბის მდგომარეობას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზვიადის დამსახურება იყო. ზვიადი მუდმივად აწვდიდა უცხოეთს ინფორმაციას მერაბის შესახებ, მიმართავდა სხვადასხვა საზოგადოებებს. ამან განაპირობა ის, რომ მსოფლიოს საზოგადოებრიობა აქტიურად იყო ჩაბმული მერაბის სიცოცხლის გადარჩენისათვის ბრძოლაში.

მერაბი რომ თავისუფალ გადასახლებაში გადააგზავნეს ტაიშეთის რაიონის სოფელ კვიტოკში, მერაბის სანახავად პირველნი წავიდნენ ირაკლი, ზვიადი და ჩემი ბიძაშვილი ელიკო გოგუაძე (მე ავად ვიყავი და წასვლა ვერ მოვახერხე). ელიკო გოგუაძის ნაამბობიდან: დაღლილ-დაქანცულები კვიტოკში რომ ჩავედით, მე და ირაკლის ძალიან მალე დაგვეძინა. მერაბმა და ზვიადმა მთელი ღამე საუბარში გაატარეს. საოცარი იყო, რომ დილით არცერთს არ ეტყობოდა დაღლილობა.

# 26 მაისი — მერაბ კოსტავას დაბადების დღე

# მერაბ კოსტავა — შტრიხები პორტრეტისათვის



სუფრასთან დავსხედით. მერაბი მოგვიბრუნდა მე და ირაკლის და გვითხრა: თქვენც გახსოვდეთ და საქართველოშიც უთხარით ყველას, ვისაც ხმას მიაწვდენთ: ქართული ეროვნული მოძრაობისათვის ზვიადი გადამწყვეტი ძალაა. ზვიადი დგას ამ მოძრაობის სათავეში და მას შეუძლია მხოლოდ ამ მოძრაობის წარმართვა. მერე ლიტერატურაზე დაიწყეს საუბარი. სიტყვა ჰერმან ჰესსეს რომანზე „თამაში რიოში მარგალიტებით" ჩამოვარდა. მე და ირაკლის ახალი წაკითხული გვქონდა ეს რომანი, ორივენი აღფრთოვანებულები ვიყავით და ვფიქრობდით, რომ ეს წიგნი ძალიან კარგად გვქონდა გაგებული. მერაბმა და ზვიადმა დაწვრილებით გაარჩიეს რომანი. მე და ირაკლი პირდაღებულები მივჩერებოდით. თურმე რამდენი შრე ყოფილა ამ წიგნში, რომელიც ჩვენ ვერც აღვიქვით და ვერც შევამჩნიეთ. გაგვაოცა მერაბის და ზვიადის სიღრმეებში წვდომის უნარმა...

მერაბზე რომ წარმოდგენა შეგიქმნათ, რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ.

1972 წელია. მე და ჩემი მეგობარი ლიანა პაქსაშვილი სახლში ვსხედვართ და მერაბს ველოდებით. სადღაც უნდა წავიდეთ. გადის თხუთმეტი წუთი, ოცი წუთი... მერაბი იგვიანებს. ერთი საათის შემდეგ შემოდის, ხელში იების ორი კონა უჭირავს და მეუბნება: მაპატიე, რომ დავიგვიანე. იები ვნახე. ყიდვა მომინდა. სულ სამი მანეთი მქონდა და ტრანსპორტის ფული აღარ დამრჩა. ფეხით მოვედი რუსთაველიდან საბურთალომდე. თუ დამიჯერებთ, 33 წლის მერაბმა მართლა ვერ წარმოიდგინა, რომ შეიძლებოდა ავტობუსში ასულიყო და უბილეთოდ ემგზავრა...

კიდევ ერთი მოგონება. ანგარსკის ბანაკში ყაზარმა, სადაც პატიმრები იძინებდნენ, ერთსართულიანი გრძელი შენობა იყო. ყაზარმაში დაახლოებით ოთხას პატიმარს ეძინა. ალბათ წარმოიდგენთ, როგორ გამოიყურებოდა ეს შენობა. ყაზარმის შესასვლელში ნაძვის ტოტებს აწყობდნენ ხოლმე ფეხის გასაწმენდად. ყაზარმაში შესვლისას მერაბი დიდხანს იდგა და გულმოდგინედ იწმენდდა ფეხებს. მერე ერთმა პატიმარმა მიამბო. პატიმრები გაოცებულები კითხულობდნენ, ასეთ კაცს ციხეში ჩვენს შორის რა უნდაო.

1984 წლის ნოემბერში მერაბმა შიმშილობა გამოაცხადა. ეს შიმშილობა წელიწადი და ორი თვე გაგრძელდა (დღეში ერთხელ ძალით კვებავდნენ, რომ არ მომკვდარიყო). დევივით ვაჟკაცი 48 კილოგრამს იწონიდა. ჰლექი დაემართა. 1986 წელს ციმბირიდან ტაშკენტის ბანაკში გადმოაგზავნეს, სადაც სპეციალური ტუბზონა იყო. იქაურმა ექიმმა ქალმა მიამბო: ვხედავ, მოდის ლანდივით ქცეული პატიმარი, წონასწორობის შესანარჩუნებლად უჭირს და მიწაზე მოათრევს ტომარას. ვხედავ ტომრის კი არა საკუთარი თავის ტარება უჭირს. ვიფიქრე, ნეტავ რა ძვირფასი აქვს ამ ტომარაში-მეთქი. ტომარაში „ცისკრისა" და „მნათობის" ნომრები ჰქონდა, რომელთაც მერაბი ბანაკში ღებულობდა. ვერ გაიმეტა გადასაყრელად და თან წამოიღო. ბანაკში რომ შევიდა, კიბეებზე ასვლა ველარ შეძლო. იმ ბანაკში რამდენიმე ქართველი პატიმარი იყო. ციხის „ტელეგრაფმა" სასწრაფოდ შეატყობინა მათ, ბანაკში მერაბ კოსტავა მოიყვანესო. მოცვივდნენ, მერაბი ხელში აყვანილი საავადმყოფოში შეიყვანეს, ძმასავით მოუარეს და უპატრონეს. ოთხი თვის შემდეგ ჰლექისგანაც განიკურნა და უკვე ძველ მერაბს დაემსგავსა...

მე და მერაბი 1959 წელს დავქორწინდით. 1972 წელს ოფიციალურად დავშორდით. გაშორებულები ძალიან ვმეგობრობდით. 1977 წლის გაზაფხულზე, როცა პრესაში ზვიადის და მერაბის წინააღმდეგ სამარცხვინო კამპანია გაჩაღდა და ცხადი გახდა, რომ მათ დააპატიმრებდნენ, მერაბი თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩემთან და ირაკლისთან. 1977 წლის აპრილში ზვიადი და მერაბი დააპატიმრეს. 1978 წლის მაისში სასამართლო ჩატარდა. სასამართლოს შემდეგ, 1978 წლის 24 ივნისს, მე და მერაბმა მეორედ ვიქორწინეთ საქართველოს სუკის შენობაში. ეს იყო პირველი ქორწინება საქართველოს სუკში. „პატარძალს" მერაბის დედასთან ოლიკო დემურიასთან ერთად წამომყვნენ ჩემი ბიძაშვილები ავთანდილ და ქეთევან ბერიძეები. შესასვლელში ავთანდილს და ქეთევანს ჰკითხეს, თქვენ ვინ ბრძანდებითო. ავთანდილმა იხუმრა, ჩვენ ხელის მომკიდეები ვართო. ხელს ჩვენ თვითონ მოვკიდებთ, თქვენ ნუ შეწუხდებითო და მარტო მე და ოლიკო გაგვატარეს, ქორწინებას ესწრებოდნენ ზვიადი, მმაჩის ბიუროს თანამშრომელი ქალი, სუკის საგამომძიებლო ნაწილის უფროსი და მისი მოადგილე. მერაბის დედას და მე უფლება მოგვცეს, საჭმელი მიგვეტანა და ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ სუფრა გავშალეთ. მაგიდაზე სურით წყალი იდგა. მერაბმა წყალი დაასხა ჰიქაში, ჰიქა ასწია და სადღეგრძელო თქვა: „ამ შენობაში სულ მალე თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელო დაგველიოს!". სუკის თანამშრომლები გადაფითრდნენ...

მერე დაიწყო ათწლიანი ოდისეა ციმბირის გზებზე. შვიდი წელი მე და ირაკლი დავდიოდით, ირაკლის დაღუპვის შემდეგ, მე მარტო ან ჩემს ახლობლებთან ერთად. შეხვედრა დიდი სიხარული იყო, ყოველი განშორება ტრაგიკული. შეხვედრა რომ მთავრდებოდა, ჯერ მერაბი გაჰყავდათ. რკინის კარები ღრჭიალით რომ გაიღებოდა, უკანასკნელად მოიხედავდა. ისეთი ღრმა სევდა, კაეშანი და განწირულობა იყო ამ თვალებში... ყოველი განშორებისას ხომ ისიც ფიქრობდა და ჩვენც, რომ ეს ბოლო შეხვედრა შეიძლებოდა ყოფილიყო... მერაბი ღრმად მორწმუნე კაცი იყო და ამ გამოხედვაში წინათგრძნობაც იყო ალბათ. 1984 წელს ირაკლისთან განშორება ხომ მართლაც უკანასკნელი აღმოჩნდა...

**რუსუდან ბერიძე**

# ქართლის შვილები — დარაზმული ლეგიონებად

გთავაზობთ 40-იან წლებში გერმანიაში გამომავალ ქართული ლეგიონის ყოველკვირეულ გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილ ორ ლექსს

## სამაისო

აჰა მაისი... ვარდების და ხხივთა ლაშქარი!..
ირგვლივ უსაზღვრო სურვილების ლაღი დინება!..
ბნელეთში მძაფრი შეტაკება... ქარი აშარი
და ოცდაექვსში საქართველოს აღორძინება!..
იხსენებ წარსულს: ეს პატარა თვალი ქვეყნისა,
სადაც უბრალო ქვაც კი ამხელს აზრს და მშვენებას,
მოწმე სასტიკი აოხრების, წვა და რბევისა
და მიჩვეული მზიანი დღის ავდრით თენებას, —
როგორ გადურჩა შავ გრიგალებს, შესძლო აცდენა
მწარე ხვედრისა, და აშორდა ვერაგულ მახეს?!.
როგორ შეიძლო ამ ცეცხლისგან თავის დაღწევა
და მოიტანა მან აქამდი თავისი სახე?!.
არ გვასვენებდნენ, თქვენც მოწმე ხართ ლამაზო მთებო,—
მამულისშვილთა წმინდა გვამი ყველგან ეყარა!..
ჩვენ გვაოხრებდნენ იმ საბუთით, რომ საქართველო
იყო ვარდებით და სიუხვით სავსე ქვეყანა...
მაგრამ მათ მისი გოჯიც ველარ შემოიმტკიცეს,
ვერ გვიმორჩილეს, თუმც გვეხვივნენ ირგვლივ სუროდა,
ველარ გასტეხა საქართველოს ხმალის სიმტკიცე
თვით მონგოლების სამასი წლის თავგასულობამ!..
რუსთველის ქნარი კვლავ დაგვირჩა ბნელში მეგზურად,
ბესიკის ბაღში კვლავ გალობდნენ ლერწმის ღეროდან,
ჩვენს მწუხარებას და სიხარულს, რაც თავს გვებურა, —
საიათნოვა გამომთვრალი უელით მღეროდა!..
შემდეგ ირაკლის ხმალმა ზარდა ქართლის სამეფო, —
თითქოს ჩაგრულმა ერმა თვის გზას მიაკვლიაო,
თვით ფრიდრიხ-დიდმა საქვეყნოდ სთქვა: ევროპას მე ვფლობ
და აზიაში დიდი მეფე ირაკლიაო...
მაგრამ დიდების ეს ზენიტიც ჩქარა დაინგრა, —
რუსეთის ზამთარს გზა დაუთმეს ქართლის მიწაზეც.
დაწმენდილი და უღრუბლო ცა სწრაფად აიმღვრა
და საშინელი მორჩილება ჩუმად ვიწამედ...
ძირშივე დაწყდა, აიწეწა ქარში ვარდები,
ხალხზე იტყოდით: მათ ალბათ სულ ბნელში უვლიათ...
ამდროინდელი ჩვენი სევდა, ჩვენი ნაღველი
ბარათაშვილის მწუხარე ხმით გამოთქმულია...
თითქოს კვლავ ხსნა და იმედები აღარსად იყო,
უნდა მიგველო მორჩილება შავი ბედისა,
მაგრამ ქვეყანა, სინათლის და ბნელის, გაიყო
და საიმედო განთიადი ისევ გველირსა;
ისევ აინთო სიხარულის მარადი შუქი,
ჩაკვდა სრულიად მტრის ღმუილი და გასელება,
თბილისს თავისი ცა დაუბრუნეს — სუფთა და ლურჯი, —
რიცხვით ოცდაექვსს მაისს მოხდა ეს გათენება...
მაგრამ შეშურდა მტერს ჩვენი მზე თავისთავადი,
და კვლავ დაიძრა ქარიშხალი ცეცხლის ენებად...
ისევ რუსეთი... ისევ ტანჯვა, ცრემლი მარადი,
ისევ უაზრო გაწამება და გასელება!..
დაბლა დაუშვეს ჩვენი დროშა შვინდისფერადი,
შერყვნეს სიმკვეთრე და დიდება ქართულ ხმალისა,
მაგრამ იმედი ისევ შორით აგვიფერადდა
და კვლავ აღდგენის ჟამი დადგა ქართულ ძალისა...
გულის სიმართლე ქვეყნად აღარ დაიკარგება,
ბრძოლის სურვილით შევკრებილვართ ქართლის შვილები,
დაღვრილი სისხლი ნატრულ ვარდად აიქარგება
და ჩვენს თაობას დაებნევა მკერდზე შლილები...
მარტო არა ვართ, — გვეხმარება ამ დიდ ბრძოლაში
მთელ მსოფლიოში ყველა ერზე მართალი ერი,
აღებულ მახვილს ის სიკეთის ნათელ დროშად შლის
და გამარჯვების სიდიადის სიხარულს მღერის!..
ფრთები გაშალე იმედების, ქართლოსის მიწავ,
მალე შენს ბჭესთან დაიმსხვრევა მძიმე მონება,
გულს ნუ გაიტეხ, — თავისუფალ დროშით მოვდივართ
ქართლის შვილები — დარაზმული ლეგიონებად!..

**ვ. ურდოელი**

## მგოსანი

გაახელს მთვარე ვერცხლის თვალებს და ყოველ ღამით
როს დასხდებიან ვარსკვლავები ცაზე იებად,
ვრწყავ გულში გაშლილ მაისის ვარდს შხამით, ბალღამით,
რომ ჩავუნერგო საშინელი შურისძიება;
რომ ყოველივე ჩემი სიტყვა მტერს მოხვდეს ტყვიად,
რითმამ დასტენოს მკვირცხლი აზრი ლექსში ყუმბარად;
და, თუ ღიმილი ზეციური კიდევ მატყვია,
არ დაიჯეროთ! ვით ჯალათი ვიცანი მარად!
რას ვაქნევ სიტყვას მაეროვანს აწონილს მისხლით,
როს გარს მარტყია ეკლიანი რკინის მავთული!
მელნად დავსწურე ნოყიერი ქართული სისხლი,
კალმად მიპყრია ხელში ბასრი ხმალი ქართული!
და შხამით მორწყულ მაისის ვარდს ვდარაჯობ, ვუვლი;
შურისძიება მასაზრდოებს, მიმატებს ღონეს;
რამდენი მამა გაიხსენებს ჩემს სახელს კრულვით,
რამდენი დედა ცრემლით, ოხვრით შვილს მოიგონებს!
თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე,
მხოლოდ სისხლისთვის გისმობსთ ჩემი ბუკი-ნაღარა!
ისე არ ჩავალ, ცით მოსული, ბნელსამარეში,
თუ არ შევღებე მტრების სისხლით ჩემი ჰაღარა!
ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი პირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავლით მსურს გავიხარო.
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე, მტვრად ქცეულიც დამენახოს მთელი სამყარო!

**ს. ბერეჟიანი.**


გამომცემელი **სახალხო ფრონტი**

ფასი 50 კაპ. ინდექსი 66447

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯაჭაძის ქ. № 17. ტელ.: 292-881.

იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში

რედაქტორი **მამუკა ფარჩუაშვილი**